ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ა(ა)იპ "ხობის მუნიციპალიტეტისს სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანება"

ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ხეთის საბავშვო ბაღი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე:

ხარისხის ექსპერტი: ირმა გაბისონია

წევრები:

კურიკულუმის ექსპერტი: თათია ქუთათელაძე

კვების დარგში ექსპერტი: მარინე ზაზაშვილი

სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების ექსპერტი: სალომე ბოჭორიშვილი

ნაწილი I. ზოგადი ინფორმაცია

1. ინფორმაცია ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ	
სამართლებრივი ფორმა	არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი
საფირმო სახელწოდება	ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანება
საიდენტიფიკაციო ნომერი	244690214
პროგრამ(ებ)ის განხორციელების ადგილის სახელწოდება	ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ხეთის საბავშვო ბაღი
სახელწოდება ინგლისურ ენაზე	
სექტორი	საჯარო
ინფორმაცია მოთხოვნილი სტატუსის შესახებ	სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულება
2. საკონტაქტო ინფორმაცია ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ	
იურიდიული მისამართი	ხობის მუნიციპალიტეტი, ქალაქი ხობი, ცოტნე დადიანის ქუჩა N204
პროგრამ(ებ)ის განხორციელების ფაქტობრივი მისამართი	ხობის მუნიციპალიტეტი, სოფელი ხეთა
დაწესებულების სტატუსის მაძიებლის ვებ-გვერდი	
3. ინფორმაცია დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ	
დაწესებულების ავტორიზაცია (პირველადი)☒	დაწესებულების ავტორიზაცია (განმეორებითი)☐
4. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ	
ვიზიტის საფუძველი	ცენტრის დირექტორის ბრძანება MES 7 25 0000921175 28/07/2025წ.

ვიზიტის პერიოდი	2025 წლის 2 და 3 სექტემბერი

5. ინფორმაცია ბავშვების შესახებ

წინა ავტორიზაციის ფარგლებში საბჭოს მიერ განსაზღვრული ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა	ჩარიცხული ბავშვების რაოდენობა

6. ინფორმაცია ადრეული აღზრდისა და განათლების დაწესებულების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის პროგრამ(ებ)ის შესახებ

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილების დანართი №1-ის სახით დამტკიცებული *"ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესი"*-ს მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ იმ პროგრამის სახე/სახეები, რომლის განხორციელებაც სურს დაწესებულების სტატუსის მაძიებელს.

N	პროგრამის სახე[1]	კურიკულუმ(ებ)ის დასახელება	პროგრამის განხორციელების ენა	პროგრამის განხორციელების მიდგომა *(არსებობის შემთხვევაში) (ბილინგვური/ მულტილინგვური)*	თვითშეფასების მიხედვით პროგრამაზე მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა
1	სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა	ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში''; სასკოლო მზაობის პროგრამა,,თამაში'' , აქტივობათა კრებული	ქართული		100 ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☐ 30 არ ეთანხმება ☒

7. ვიზიტის პროცესის საერთო მიმოხილვა

[1] აისახოს მხოლოდ ის პროგრამა/პროგრამები, რომელიც მითითებულია დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასებაში. პროგრამის სახის სპეციფიკის/რაოდენობის გათვალისწინებით შესაძლებელია დაემატოს ველები.

დაწესებულების სტატუსის მაძიებელ ხობის მუნიციპალიტეტის ხეთის საბავშვო ბაღში ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 2 და 3 სექტემბერს. ვიზიტი წარიმართა მშვიდ გარემოში. დაწესებულების პერსონალსა და ექსპერტთა ჯგუფის წევრებს შორის შექმნილმა ატმოსფერომ ხელი შეუწყო თანამშრომლობითი ვიზიტის ეფექტურად განხორციელებას. კომპეტენციის ფარგლებში თითოეული ექსპერტის მიერ შეფასებულიქნა თითოეული სტანდარტი/კომპონენტი. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება რადიკალურად განსხვავდება დაწესებულების თვითშეფასებისგან, რაც თითოეული ექსპერტის მიერ ასახულიქნა ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების სქემით.

8. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც დაწესებულების სტატუსის მაძიებლის გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

.....
.....
.....
.....
.....

9. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა

(ასეთის არსებობის შემთხვევაში)

.....
.....
.....
.....

ნაწილი II: ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

10. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების სქემა		
სტანდარტი/კომპონენტი	**დაწესებულების თვითშეფასება**	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება**
ავტორიზაციის I სტანდარტის შეფასების სქემა		
1. დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
1.1. დაწესებულების მისია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
1.2. სტრატეგიული განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
ავტორიზაციის II სტანდარტის შეფასების სქემა[2] ***სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა*** ***„ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში“*** ***სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“ აქტივობათა კრებული***		
2. კურიკულუმი	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**

[2] ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

2.1. კურიკულუმის დაგეგმვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2. კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის III სტანდარტის შეფასების სქემა		
3. ოჯახისა და თემის ჩართულობა	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
ავტორიზაციის IV სტანდარტის შეფასების სქემა		
4. სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესის მხარდაჭერა	**☐ შეესაბამება** **☒ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**	**☐ შეესაბამება** **☒ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
4.1. პერსონალის მართვა და განვითარება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.2. პროცესების მართვა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.3. მატერიალური რესურსი	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

	☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.4. კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.5. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.6. ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.7.ფინანსური რესურსი	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი III. ავტორიზაციის I, II, III და IV სტანდარტთან შესაბამისობის აღწერა, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

სარჩევი

1.1. დაწესებულების მისია
1.2. სტრატეგიული განვითარება
2.1. კურიკულუმის დაგეგმვა
2.2. კურიკულუმის განხორციელება
2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება
3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა
3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება
4.1. პერსონალის მართვა და განვითარება
4.2. პროცესების მართვა
4.3. მატერიალური რესურსი
4.4. კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი
4.5. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები
4.6. ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება
4.7. ფინანსური რესურსი

1. დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება

1.1. დაწესებულების მისია

1.1.1. დაწესებულებას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცეში და საზოგადოებაში

1. **დაწესებულების მისია ეხმიანება ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვას და განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც ბავშვის კეთილდღეობაზე ორიენტირებულ სივრცეს**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებელ დაწესებულებას დეკლარირებული დოკუმენტის სახით წარმოდგენილი აქვს მისია, რომელიც შემდეგნაირად ჟღერს:

„ჩვენი დაწესებულების მისიაა
ბავშვისთვის გონებრივი, ფიზიკური, სოციალური და სხვა აუცილებელი საბაზისო უნარ-ჩვევების განვითარების ხელშეწყობა; ოჯახთან და თემთან თანამშრომლობით და თამაშზე დაფუძნებული სწავლების მეთოდით ბავშვებში ცნობისმოყვარეობის, შემოქმედებითობის, დამოუკიდებლობის უნარების ჩამოყალიბება და სკოლისთვის მომზადება“.

წარმოდგენილი მისიის შინაარსობრივ მოთხოვნებში იკვეთება მიზანი, რომელიც ორიენტირებულია ბავშვის განათლებაზე, გონებრივ, ფიზიკურ, შესაძლებლობებისა და უნარების განვითარებაზე, რაც მოიაზრებს ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვას.

წარმოდგენილ მისიაში გამოკვეთილი დაწესებულების როლი უზრუნველყოფს ბავშვის ყოფნას სასურველ და უზრუნველ გარემოში.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია
.....
.....
რჩევა
.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

2. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას განსაზღვრული აქვს ხედვა და ღირებულებები, რომელიც წარმოდგენილია დეკლარირებული ორი დოკუმენტის სახით: ხედვა და ღირებულებები.

დოკუმენტით წარმოდგენილი დაწესებულების ხედვა იკითხება შემნდეგნაირად:

„ჩვენი გაერთიანების ხედვაა
თანაბრად ხელმისაწვდომი გარემოს შექმნა ყველა ბავშვისთვის, მიუხედავად შესაძლებლობებისა, ეროვნებისა და რელიგიური მრწამსისა.
საჭიროებათა კვლევით პერსონალის ზრდა-განვითარება.“

დაწესებულების მიერ დოკუმენტის სახით წარმოდგენილი ღირებულებებია:

„ჩვენი გაერთიანების ღირებულებაა
საქმიანობის მუდმივი რეფლექსია, გუნდურობისა და თანამშრომლობის გაზიარება, პროფესიონალური და პასუხისმგებლობითი დამოკიდებულების გააზრება, საჭიროებისა და პრობლემური საკითხების მონიტორიგი და პრიორიტეტების მინიჭება, ბავშვზე ორიენტირებულობა და მისი საუკეთესო ინტერესებით ხელმძღვანელობა.“

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ხედვა გამომდინარეობს მისიიდან. ის განსაზღვრავს დაწესებულების განვითარების საშუალოვადიან მიზნებს.

დაწესებულების ღირებულებები გამომდინარეობს მისიიდან. ის წარმოადგენს დაწესებულების კულტურას და მკაფიოდ აყალიბებს დაწესებულებასთან დაკავშირებულ მოლოდინებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

რჩევა

სასურველია დაწესებულებამ გაითვალისწინოს შემდეგი რჩევები:
1,) ჩამოაყალიბოს ხედვის ისეთი მამოტივირებელი და ამბიციური განაცხადი, რომელიც მომავალში დაეხმარება უკეთ დაინახოს განსხვავება დაწესებულების არსებულსა და სასურველ მდგომარეობას შორის;
2.) ხედვა განიხილოს, როგორც სტრატეგიული გეგმის შემუშავების მთავარი ორიენტირი.

სასურველია, ასევე, დაწესებულებამ გაითვალისწინოს რჩევა მის მიერ დეკლარირებულ მისიაში, ხედვასა და ღირებულებებში გამოყენებულ სიტყვებთან-„დაწესებულება“და „გაერათიანება“ დაკავშირებით, რომელიც მოცემულ შემთხვევაში კონტექსტუალურ სინონიმებად განიხილება, რადგან მან შეიძლება გაურკვევლობა გამოიწვიოს დაინტერესებულ პირთა შორის.
კერძოდ, იმისთვის, რომ დაინტერესებულმა მხარემ მარტივად შეძლოს გააზრება იმისა, რომ გამოყენებული ორი ტერმინი-„გაერთიანება“ და „დაწესებულება“ - განიხილება, როგორც ერთი მთლიანი, ვფიქრობ, უმჯობესია „ჩვენი გაერთიანების ხედვაა“, „ჩვენი გაერთიანების ღირებულებებია“-ს ნაცვლად გააკეთოს შემდეგნაირი ფორმულირება: „ჩვენი დაწესებულების ხედვაა“, „ჩვენი დაწესებულების ღირებულებებია“, რადგან უკვე დეკლარირებულ მისიის განაცხადში ვკითხულობთ არა „ჩვენი გაერთიანების მიასიაა“, არამედ „ჩვენი დაწესებულების მისიაა“.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....

3. მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია დაინტერესებული მხარეების ჩართულობით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების პროცესი ეფუძნება დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანების“ დირექტორის 2025 წლის 30 ივნისის N-204 ბრძანებით დამტკიცებულ „სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი“-ს (შემდგომში-„წესი“). აღნიშნული წესის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს რეგულაცია, სადაც ასახულია მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების პროცესი. რეგულაცია მერვე მუხლით განსაზღვრავს „მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავებისა და გაზიარების პროცესს“, რომლის მეორე პუნქტში ჩამოყალიბებულია დაინტერესებული მხარეების ჩართულობისთვის საჭირო ეტაპები, კერძოდ:

„მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავება ხორციელდება შემდეგი ეტაპების დაცვით:
ა.)სამუშაო ჯგუფის მიერ მისიის, ხედვისა და ღირებულებების პროექტის შემუშავება;
ბ.)პროექტების გაზიარება ამ წესის მე-4 მუხლით განსაზღვრული დაინტერესებული მხარეებისთვის;
გ.)მიღებული უკუკავშირის განხილვა/გათვალისიწინება; "

წესის მეოთხე მუხლით კი განსაზღვრულია პროცესში ჩართული დაინტერესებული მხარეები:

„სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში ჩართული არიან შემდეგი დაინტერესებული მხარეები:
ა.) ბაღების გაერთიანების წარმომადგენელი/წარმომადგენლები;
ბ.)ბაღ(ებ)ის წარმომადგენელი/წარმომადგენლები;
გ.)მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი/საკონსულტაციო საბჭო."

დაწესებულების მიერ „სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი"-ს მერვე მუხლი მეორე პუნქტის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად შექმნილი მცირე სამუშაო ჯგუფი დაკომპლექტებულიქნა ამავე წესის მეოთხე მუხლით განსაზღვრული დაინტერესებული მხარეებით, რომელთა შორის არიან: გაერთიანების დირექტორის მოადგილე, გაერთიანების დაქვემდებარებაში შემავალი 3 საბავშვო ბაგა-ბაღისა და 1 საბავშვო ბაღის 4 მეთოდისტი.
2025 წლის 30 მაისს ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანების" მისია, ხედვა და ღირებულებების შემუშავებაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფის მიერ წარმართულ სხდომას, სამუშაო ჯგუფის წევრების გარდა, ესწრებოდნენ მოწვეული დაინტერესებული პირები-საბავშვო ბაგა-ბაღების საშტატო ნუსხით განსაზღვრულ პოზიციაზე დასაქმებული აღმზრდელ-მასწავლებლები.

დაწესებულებას მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების პროცესის დამადასტურებელ მტკიცებულებებად წარმოდგენილი აქვს: 2025 წლის 30 მაისის ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანება"-ს დირექტორის N-190 ბრძანება, 2025 წლის 30 მაისის სხდომის ოქმი N-1 და სამუშაო პროცესის ამსახველი ფოტოები.

აღნიშნულიდან გამომდინარე **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

რჩევა

სასურველია დაწესებულებამ გაითვალისწინოს შემდეგი რჩევები:

1.მომავალში უზრუნველყოს „სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი“-ს მეოთხე მუხლით განსაზღვრული დაინტერესებული მხარეების მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების პროცესში სრული ჩართულობა, კერძოდ, სხვა პირებთან ერთად, მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი/საკონსულტაციო საბჭოს წარმომადგენლების შემუშავების პროცესში მონაწილეობა;
2. საშტატო ნუსხით განსაზღვრული პოზიციის „აღმზრდელ-მასწავლებელი“ დასახელება შეიცვალოს ტერმინით „აღმზრდელი“ ან „აღმზრდელ-პედაგოგი“, რათა საგანმანათლებლო პერსონალის პოზიციების დასახელებები შეესაბამებოდეს მოქმედ ნორმატიულ აქტებში გამოყენებულ ტერმინოლოგიას.

არგUუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....

4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებულ მხარეებთან და საჯაროდაა ხელმისაწვდომი

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 30 მაისის N-190 ბრძანებით განსაზღვრული სამუშაო ჯგუფის წევრების მიერ შექმნილი დაწესებულების მისია, ხედვა და ღირებულებები, უპირველეს ყოვლისა, გაზიარერბულია როგორც სამუშაო ჯგუფის წევრებთან, ასევე, სხდომაზე მოწვეულ დაინტერესებულ პირებთან , რომელიც წარმოდგენილია საბავშვო ბაგა-ბაღების აღმზრდელ-მასწავლებლების სახით.

ინტერვიუირების შედეგად, რომელშიც მონაწილეობა მიიღო გაერთიანების დირექტორის მოადგილემ და ხეთის საბავშვო ბაღის მთავარმა სპეციალისტმა, დადგინდა, რომ დაწესებულება სასწავლო-სააღმზრდელო წლის დაწყებამდე გეგმავს მის მიერ შემუშავებული მისიის, ხედვისა და ღირებულებების გაზიარებას დაინტერესებულ პირებთან, რომელთა შორის მოიაზრებს მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს, საბავშვო ბაღის საგანმანათლებლო და ტექნიკურ პერსონალს.

დაწესებულების მიერ მისიის, ხედვისა და ღირებულებების გაზიარების, საჯაროობის მექანიზმი აღწერილია „სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი“-ს მეექვსე მუხლით „დოკუმენტის გაზიარება“, რომლის მეორე მუხლშიც განსაზღვრულია, რომ:

„პროცესში შემუშავებული დოკუმენტების გაზიარებისთვის გამოიყენება შემდეგი საკომუნიკაციო არხები:
ა.)საჯარო ღონისძიებები (შეხვედრები);
ბ.)საინფორმაციო დაფა.“

დაწესებულებამ მის მიერ ფორმულირებული მისიის, ხედვისა და ღირებულებების საჯაროობა, უპირველეს ყოვლისა, უზრუნველყო დეკლარირებული დოკუმენტების საინფორმაციო დაფაზე განთავსებით, რომელიც დაწესებულების ჰოლში თვალსაჩინო ადგილასაა დაკიდებული.

აღნიშნულიდან გამომდინარე **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1.დეკლარირებული მისია, ხედვა და ღირებულებები.
2.ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანების“ დირექტორის 2025 წლის 30 ივნისის N-204 ბრძანება სტრუქტურული ერთეულებისთვის „სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი“-ს დამტკიცების შესახებ.
3. „სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი“
4. .ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანების“ დირექტორის 2025 წლის 30 მაისის N-190 ბრძანება მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემმუშავებელი ჯგუფის შექმნის შესახებ.
5.სამუშაო ჯგუფის 2025 წლის 30 მაისის სხდომის ოქმი N-1.
6. სამუშაო ჯგუფის დოკუმენტების შემუშავების პროცესის ამსახველი ფოტომასალა.
7. პირისპირ შეხვედრის დროს გამოყენებული ინტერვიუირების მეთოდი.
8 ადგილზე ვიზიტის დროს მოპოვებული ფოტომასალა.

შეფასება:			
1.1. დაწესებულების მისია			
შეესაბამება ☒	მეტწილად შეესაბამება ☐	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

1.2. სტრატეგიული განვითარება

1.2.1. დაწესებულებაში მოქმედებს დაგეგმვის პრაქტიკა

1. დაწესებულებას აქვს სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმს და ითვალისწინებს დაგეგმვის პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას შემუშავებული აქვს სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, რომელიც წარმოდგენილია ა(ა)იპ-„ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანების“ დირექტორის 2025 წლის 30 ივნისის N-204 ბრძანებით დამტკიცებული „სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი“-თ (შემდგომში-„წესი“) ბრძანების დანართად. წესი მოიცავს როგორც სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების საკითხებს, რომელთა დაგეგმვაშიც გათვალისწინებულია დაინტერესებული მხარეების ჩართულობა, ასევე, მოიაზრებს შემუშავებული სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგსა და შეფასებას.

სტრატეგიული დაგეგმარების წესის სხვადასხვა მუხლში განსაზღვრულია გზა, რომელსაც დაწესებულება გაივლის სტრატეგიული დაგეგმვის არანაკლებ ხუთწლიან პერიოდში. წესი შედგება 15 მუხლისგან, რომელთა შორისაა:

1. სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის საკვანძო პრინციპები;
2. პროცესის წარმმართველი სამუშაო ჯგუფის ფორმირება და მუშაობის წესი;
3. დოკუმენტების გაზიარება;
4. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების/გაზიარების/დამტკიცების პროცესი;
5. სტრატეგიული გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია;
6. სამოქმედო გეგმის შემუშავება;
7. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგი და შეფასება;

8. სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის მონიტორინგის მექანიზმი;
9. სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში ცვლილების შეტანა და გაზიარება.

წესის თანახმად სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი იწყება სამუშაო ჯგუფის შექმნით, რომელიც მტკიცდება უფლებამოსილი პირის მიერ. სამუშაო ჯგუფის წევრები წარმართავენ სამუშაო ჯგუფის სხდომებს. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესი იმართება სამუშაო ჯგუფის ფორმატში.

წესში, მეათე მუხლის („სტრატეგიული გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია“) მეოთხე პუნქტში დაწესებულებას განსაზღვრული აქვს სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია-SWOT ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნის შესაბამისად დაწესებულების მიერ წარმოდგენილი წესის მეოთხე მუხლით-„პროცესში ჩართული პირები“-დადგენილია დაინტერესებული მხარეების წრე, რომელთა შორის არიან:
„ ა.) ბაღების გაერთიანების წარმომადგენელი/წარმომადგენლები;
ბ.)ბაღ(ებ)ის წარმომადგენელი/წარმომადგენლები;
გ.)მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი/საკონსულტაციო საბჭო.“

დაწესებულებას გააზრებული აქვს სტრატეგიული გეგმის გაზიარების მნიშვნელობა. წესის მე-6-ე მუხლში („დოკუმენტის გაზიარება“) გაწერილია გაზიარების მექანიზმი, სადაც ვკითხულობთ:

„1.დაწესებულების მიერ სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში შემუშავებული დოკუმენტების დაინტერესებული მხარეებისათვის გაზიარება უზრუნველყოფს სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების პროცესში სხვადასხვა მხარის ჩართვას.

2.პროცესში შემუშავებული დოკუმენტების გაზიარებისათვის გამოიყენება შემდეგი საკომუნიკაციო არხები:

ა) საჯარო ღონისძიებები (შეხვედრები)
ბ) საინფორმაციო დაფა.’’

სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგის მექანიზმი წარმოდგენილია მე-14-ე მუხლში („სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის მონიტორინგის მექანიზმი“), სადაც მონიტორინგის ინსტრუმენტად განიხილავს გეგმაში ასახული აქტივობების შესრულებაზე პასუხიმგებელი პირების წერილობით ანგარიშს, რომელიც მოიცავს ინფორმაციას შესრულებული სამუშაოების შესახებ .

დაწესებულება სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგიაში ითვალისწინებს სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში ცვლილების შეტანის პროცესების არსებობის აუცილებლობას. ცვლილების შეტანას დაწესებულება საჭიროების შემთხვევაში გეგმავს ინიცირების საფუძველზე, რომელიც დაეყრდნობა მონიტორინგისა და შეფასების პროცესების შედეგად მიღებულ ანგარიშებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.....
.....

რჩევა

სასურველია დაწესებულებამ გაითვალისწინოს მომავალში შემდეგი რჩევები:
ა.) უზრუნველყოს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების პროცესში დაინტერესებული მხარეების სრული ჩართულობა, რაც გულისხმობს მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის/საკონსულტაციო საბჭოს დაგეგმვის პროცესში თანამონაწილეობას ;
ბ.) ბრძანების დანართის (10 ფურცელი) სახით წარმოდგენილი „სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი“ წარადგინოს უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი, ბეჭდით დადასტურებული დოკუმენტის სახით, რათა მომავალში ის განხილულიქნეს დამოუკიდებელ, იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტად და არამხოლოდ ბრძანების განუყოფელ ნაწილად.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....

2. სტრატეგიული გეგმა არის არანაკლებ ხუთწლიანი, ციკლური და შესაბამისობაშია დაწესებულების მისიასთან, ხედვასთან და ღირებულებებთან. ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ინდიკტორის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს ა(ა)იპ-„ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანების“ დირექტორის 2023 წლის 02 თებერვლის N-39 ბრძანება, რომელსაც დანართის (9 ფურცელი) სახით ახლავს „ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი განათლების სტრატეგია“.

დანართის სახით მოწოდებული მასალა არის იურიდიულ ძალას მოკლებული, ხელმოუწერელი დოკუმენტი, რომელიც აღიქმება დაუსრულებელ დოკუმენტად. ასევე, სტრატეგიული განვითარების გეგმაში არ არის განსაზღვრული მისი მოქმედების პერიოდი.

წარმოდგენილი დოკუმენტი რამდენიმე წლით წინუსწრებს დაწესებულების მიერ 2025 წელს შემუშავებულ „სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი"-ს, რომელიც ადგენს მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების ერთიან პროცედურებსა და მეთოდოლოგიას. აღსანიშნავია, რომ დაწესებულებას/გაერთიანებას 2025 წლამდე არ ჰქონდა შემუშავებული მისია, ხედვა და ღირებულებები. აღნიშნულიდან გამომდინარე, 2023 წელს შექმნილი სკოლამდელი განათლების სტრატეგია ვერ იქნება 2025 წელს ჩამოყალიბებულ დაწესებულების მისიასთან, ხედვასთან და ღირებულებებთან შესაბამისობაში, ვერ მოიცავს მისიასთან თავსებად მიზნებსა და მიზნების შესაბამის ამოცანებს.

წარმოდგენილ დოკუმენტში ინდიკატორის მოთხოვნის შესაბამისად არ არის განსაზღვრული სტრატეგიული გეგმის ხანგრძლივობა.

სტრატეგიული გეგმის სახით წარმოდგენილი დოკუმენტი არ არის ციკლური, რაც გულისხმობს დოკუმენტის დამტკიცებას არანაკლებ ხუთწლიანი პერიოდისთვის .

აღნიშნულიდან გამომდინარე **ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.**

რეკომენდაცია

ინდიკატორის დაკმაყოფილებისთვის დაწესებულებამ გაითვალისწინოს და:
1.)შეიმუშაოს გრძელვადიანი სტრატეგიული გეგმა, რომელიც იქნება ციკლური და წარმოდგენილი არანაკლებ ხუთწლიანი დოკუმენტის (გრძელვადიანი სტრატეგიული გეგმის) სახით;
2.)ყოველ ახალ სტრატეგიულ გეგმაზე მუშაობა დაიწყოს უფლებამოსილი პირის მიერ დამტკიცებული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
3..)სტრატეგიული განვითარების გეგმა შეესაბამებოდეს დაწესებულების მისიას, ხედვასა და ღირებულებებს;
4.)სტრატეგიული განვითარების გეგმისთვის დასახოს მსხვილმასშტაბიანი, რეალისტური და მისიასთან თავსებადი მიზნები და მიზნების შესაბამისი რეალისტური ამოცანები.

რჩევა

სასურველია დაწესებულებამ გაითვალისწინოს შემდეგი :
ა.)იხელმძღვანელოს მის მიერ შემუშავებული „სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი"-თ;
ბ.) SWOT ანალიზი განიხილოს როგორც მის მიერ გასავლელი გზა დღევანდელობიდან მომავალში სასურველ მდგომარეობამდე;

გ.) მიზნების დასახვის პროცესში გაითვალისწინოს ადამიანური, ფინანსური და მატერიალური რესურსები.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულება გაეცნო ექსპერტის მიერ იდენტიფიცირებულ შეუსაბამობებს, რეკომენდაციებს, სრულად გაიზიარა თითოეული მათგანი და წარმოადგინა მის მიერ შეუსაბამობების აღმოფხვრის მიზნით დადგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის 12თვიანი გეგმა, რომელიც ხელს შეუწყობს გეგმაში განსაზღვრულ პერიოდში შეუსაბამობების სრულად აღმოფხვრას.
აღნიშნული გეგმით დაგეგმილია შემდეგი აქტივობები:

„1. სტრატეგიული გეგმის შედგენისთვის დაინტერესებული მხარეების შემადგენლობით სამუშაო ჯგუფის (სტრატეგიული დაგეგმარების ჯგუფი) შექმნა (დატკიცებული სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესის მიხედვით);
2. სტრატეგიული გეგმის შემუშავებისთვის სამუშაო შეხვედრების/პროცესის წარმართვა;
3. დაწესებულების ძლიერი და სუსტი მხარეების, საფრთხეებისა და შესაძლებლობების გაანალიზება;
4. ჩატარებული ანალიზის შედეგად სტრატეგიული გეგმის პროექტის შემუშავება, რომელიც იქნება ხუთწლიანი და ციკლური. მასში განსაზღვრული იქნება რეალისტური და მასთან თავსებადი მიზნები და მიზნების შესაბამისი ამოცანები
5. სტარტეგიული გეგმის დამტკიცება უფლებამოსილი პირის მიერ გამოცემული ბრძანებით.“

ყოველივე ზემოხსენებულის გათვალისწინებით ექსპერტის შეფასება იცვლება.
აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა **მეტწილად არის დაკმაყოფილებული.**
.....
.....

3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სტრატეგიულ გეგმას და დაწესებულების ყოველწლიურ თვითშეფასებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას მტკიცებულების სახით წარმოდგენილი აქვს ა(ა)იპ-„ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანების“ დირექტორის 2024 წლის 16 სექტემბრის N-348 ბრძანება, რომელსაც დანართის სახით ახლავს უფლებამოსილი პირის მიერ დამტკიცებული სტრუქტურული ერთეულების 2024-2025 სასწავლო-სააღმზრდელო წლის სამოქმედო გეგმა.

წარმოდგენილი სამოქმედო გეგმა თავისი შინაარსით ვერ დაეფუძნება დაწესებულების მიერ წარმოდგენილ სტრატეგიული განვითარების გეგმას, რადგან ის (სტრატეგიული გეგმა) არ არის დამტკიცებული უფლებამოსილი პირის მიერ, რის გამოც წარმოადგენს დაუსრულებელ დოკუმენტს. დაუსრულებელი დოკუმენტი კი ვერ გახდება სხვა დოკუმენტის შექმნის საფუძველი.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს უფლებამოსილი პირის მიერ დამტკიცებული სამოქმედო გეგმა, რომელიც შექმნილია 2024-2025 სასწავლო-სააღმზრდელო წლისთვის. შესაბამისად, წარმოდგენილი დოკუმენტი ვერ ასახავს იმ აქტივობებს, მიზნებს, ამოცანებს, რაც უნდა განხორციელდეს 2025 კალენდარული წლის მანძილზე. მით უფრო, ის ვერ იქნება გახილული 2025-26 სასწავლო-სააღმზრდელო წლის სამოქმედო გეგმად.

მნიშვნელობანია ის გარემოება, რომ უფლებამოსილი პირის მიერ 2025 წლის 30 ივნისის N-204 ბრძანებით დამტკიცებული „სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი“-ს (შემდგომში-„წესი“) მე-11-ე მუხლის („სამოქმედო გეგმის შემუშავება“) პირველ პუნქტსა და მე-15-ე მუხლის („სამოქმედო/სტრატეგიული გეგმების შეფასება“) მეორე პუნქტში თანმიმდევრულად ვკითხულობთ შემდეგს:

ა.) „სტრატეგიული გეგმიდან და დაწესებულების ყოველწლიურ თვითშეფასებიდან გამომდინარე იქმნება სამოქმედო გეგმა, რომელიც უზრუნველყოფს სტრატეგიული გეგმის ფარგლებში განსაზღვრული მიზნებისა და ამოცანების თანმიმდევრულ და ეფექტიან განხორციელებას. სამოქმედო გეგმა დგება ერთწლიანი პერიოდისათვის და ის ემთხვევა კალენდარულ წელს“ (მუხლი 11);

ბ.) „კალენდარული წლის ბოლოს სამოქმედო გეგმის და 2.5 წლის ბოლოს სტრატეგიული გეგმის შესრულების შედეგები ფორმდება ანგარიშის სახით“ (მუხლი 15).

წესის თანახმად დაწესებულებას უნდა წარმოედგინა 2025 კალენდარული წლის სამოქმედო გეგმა. შესაბამისად, მის მიერ წარმოდგენილი სასწავლო-სააღმზრდელო წლისთვის შექმნილი სამოქმედო გეგმა არ შეესაბამება უფლებამოსილი პირის მიერ დამტკიცებული წესის სხვადასხვა მუხლში განსაზღვრულ პუნქტებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე სრულად ნათელია, რომ წესის მიხედვით სამოქმედო გეგმა შედგენილი უნდა იყოს კალენდარული წლის შესაბამისად. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სამოქმედო გეგმა მოიცავს სასწავლო-სააღმზრდელო წელს, რაც არღვევს წესის მე-15-ე მუხლის მეორე პუნქტით განსაზღვრულ პერიოდს.

დაწესებულება ყოველწლიურ თვიშეფასებას განახორციელებს სასწავლო-სააღმზრდელო წლის დასასრულს.

აღნიშნულიდან გამომდინარე **ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.**

რეკომენდაცია

ინდიკატორის დაკმაყოფილებისთვის დაწესებულებამ გაითვალისწინოს შემდეგი:

1.შეადგინოს ისეთი სამოქმედო გეგმა, რომელიც დაეფუძნება „სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია“-ზე დაყრდნობით შექმნილ და უფლებამოსილი პირის მიერ დამტიკიცებულ სტრატეგიულ განვითარების გეგმას;

2. დაწესებულების მიერ შედგენილი სამოქმედო გეგმა ამოვიდეს სტრატეგიული მიზნებიდან და ამოცანებიდან;

3.სამოქმედო გეგმაში მკაფიოდ გაიწეროს თუ როგორ შეძლებს დაწესებულება თვითშეფასების დროს აღმოჩენილ გამოწვევასთან/გამოწვევებთან გამკლავებას;
4.დაწესებულებამ ყოველწლიურად შექმნას საგანმანათლებლო-სააღმზრდელო წლის სამოქმედო გეგმა, რომელიც იქნება კალენდარული წლის შესაბამისი და დამტკიცდება უფლებამოსილი პირის მიერ.

რჩევა

.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულება გაეცნო ექსპერტის მიერ იდენტიფიცირებულ შეუსაბამობებს, რეკომენდაციებს, სრულად გაიზიარა თითოეული მათგანი და წარმოადგინა მის მიერ შეუსაბამობების აღმოფხვრის მიზნით დადგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის 12თვიანი გეგმა, რომელიც ხელს შეუწყობს გეგმაში განსაზღვრულ პერიოდში შეუსაბამობების სრულად აღმოფხვრას.
აღნიშნული გეგმით დაგეგმილია შემდეგი აქტივობები:

„1. სამოქმედო გეგმის შედგენისთვის დაინტერესებული მხარეების შემადგენლობით სამუშაო ჯგუფის (სტრატეგიული დაგეგმარების ჯგუფი) შექმნა (დამტკიცებული სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესის მიხედვით);
2. სამოქმედო გეგმის შემუშავებისთვის სამუშაო შეხვედრების/პროცესის წარმართვა;
3. სტარტეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესის და სტარტეგიული გეგმის მიხედვით სამოქმედო გეგმის პროექტის შემუშავება, რომელშიც გათვალისწინებული იქნება გამოწვევათა გამკლავება და და შესაბამიოსბაში იქნება კალენდარულ წელთან.
4. სამოქმედო გეგმის პროექტის გაზიარება დაინტერესებული მხარეებისათვის;
5. მიღებული უკუკავშირის განხილვა/გათვალისწინება;
6. სამოქმედო გეგმის პროექტის საბოლოო სახით ფორმირება და დამტკიცება გაერთიანების დირექტორის მიერ.“

ყოველივე ზემოხსენებულის გათვალისწინებით ექსპერტის შეფასება იცვლება.
აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა **მეტწილად არის დაკმაყოფილებული.**

.....
.....

4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ მტკიცებულების სახით წარმოდგენილია უფლებამოსილი პირის მიერ 2024 წლის 16 სექტემბრის „სტრუქტურული ერთეულებისთვის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ N-348 ბრძანებით დამტკიცებული 2024-2025 სასწავლო-სააღმზრდელო წლის სამოქმედო გეგმა არარელევანტურია, ვინაიდან:

ა.) მასში გაწერილი აქტივობები ვერ იქნება დაუსრულებელი დოკუმენტის სახით წარმოდგენილი სტრატეგიული განვითარების გეგმის მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი;

ბ.) წარმოდგენილი სამოქმედო გეგმა არ შეესაბამება გაერთიანების დირექტორის მიერ 2025 წლის 30 ივნისის N-204 ბრძანებით დამტკიცებულ „სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი“-თ (შემდგომში-„წესი“) განსაზღვრულ კალენდარულ წელს, რადგან ის მოიცავს 2024-2025 სასწავლო-სააღმზრდელო წელს. ეს უკანასკნელი კი არღვევს წესს, რომელიც დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის მიერ და რომლის თანახმადაც სამოქმედო გეგმა შემუშავენული უნდა იყოს კალენდარული წლის გათვალისწინებით.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ სამოქმედო გეგმაში წარმოდგენილია ინფორმაცია აქტივობების, მათი განხორციელების ვადისა და პასუხუსმგებელი პირების შესახებ, თუმც ის დამატებით არ შეიცავს ინდიკატორით მოთხოვილ სავალდებულო ინფორმაციას, რომელიც ნათლად ასახავს დაწესებულების საჭიროებებს. ცხრილის ფორმატით წარმოდგენილი დოკუმენტში არ არის წარმოდგენილი სავალდებულო ველები, რაც ნათლად წარმოადგენდა:

ა.) სტრატეგიულ მიზანს/მიზნებს;

ბ.) სტრატეგიული მიზნის/მიზნების მისაღწევად დასახულ ამოცანებს;

გ.) აქტივობებისთვის შერჩეულ ინდიკატორებს;

დ.) საჭირო რესურსს.

აღნიშნულიდან გამომდინარე **ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.**

რეკომენდაცია

ინდიკატორის დაკმაყოფილებისთვის დაწესებულებამ გაითვალისწინოს შემდეგი:

1.)შექმნას სტრატეგიული მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე 2025 კალენდარული წლის სამოქმედო გეგმა;
2.) დაწესესებულების მიერ 2025 წლიდან შექმნილი ყოველწლიური სამოქმედო გეგმები მოიცავდეს მხოლოდ კალენდარულ წელს;
2.) სამოქმედო გეგმის შექმნისას დაწესებულებამ გაითვალისწინოს მასში (გეგმაში) სავალდებულოდ შესავსები ისეთი ველების არსებობა, როგორიცაა: სტრატეგიული მიზანი, ამოცანა, აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, ვადა, პასუხიმგებელი პირები და რესურსები.
3.)სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულმა აქტივობებმა უზრუნველყოს სტრატეგიული განვითარების გეგმაში დასახული მიზნების მიღწევა.

რჩევა

სასურველია დაწესებულებამ გაითვალისწინოს და უზრუნველყოს ისეთი სამოქმედო გეგმის შექმნა:
ა.)რომელიც მიესადაგება მიმდინარე 2025 კალენდარულ წელს;
ბ.)სადაც ზუსტად გაიწერება სტრატეგიულ მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები;
გ.)სადაც ყველა აქტივობას მიემართება შესაბამისი რეალისტური ადამიანური, მატერიალური და ფინანსური რესურსები;
დ.)სადაც სავალდებულო ველების გარდა დამატებით შეიტანს მტკიცებულებების ველს, რომელიც ასახავს აქტივობების შესრულებას.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულება გაეცნო ექსპერტის მიერ იდენტიფიცირებულ შეუსაბამობებს, რეკომენდაციებს, სრულად გაიზიარა თითოეული მათგანი და წარმოადგინა მის მიერ შეუსაბამობების აღმოფხვრის მიზნით დადგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის 12თვიანი გეგმა, რომელიც ხელს შეუწყობს გეგმაში განსაზღვრულ პერიოდში შეუსაბამობების სრულად აღმოფხვრას.
აღნიშნული გეგმით დაგეგმილია შემდეგი აქტივობები:

„1.ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავება, რომელიც მოიცავს სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამის აქტივობებს, შესრულების გაზომვად ინდიკატორებს, რეალისტურ ვადებს, პასუხისმგებელ პირებს/სტრუქტურულ ერთეულებს და შესაბამისი რესურსებს, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია;

2. სამოქმედო გეგმის პროექტის საბოლოო სახით ფორმირება და დამტკიცება გაერთიანების დირექტორის მიერ;
3. მეთოდოლოგიის შესაბამისად, აღნიშნული ჩარჩოს შევსება.“

ყოველივე ზემოხსენებულის გათვალისწინებით ექსპერტის შეფასება იცვლება.
აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა **მეტწილად არის დაკმაყოფილებული.**
.....
.....

5. მეთოდოლოგიის შესაბამისად დაწესებულება ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას მტკიცებულების სახით წარმოდგენილი აქვს ა(ა)იპ-„ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანების“ დირექტორის 2025 წლის 30 ივნისის N-204 ბრძანებით დამტკიცებული „სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი“ (შემდგომში-„წესი“), რომლის მეცამეტე მუხლში აღწერილია სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგისა და შეფასების პროცესი. აღნიშნული მუხლის მეორე პუნქტის თანახმად სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი და შეფასება განხორციელდება სტრატეგიული გეგმის მოქმედების პერიოდში ორჯერ-შუალედურ პერიოდში, 2.5 წლის გასვლის შემდეგ და სტრატეგიული გეგმის დასრულებისთანავე. ამავე მუხლის მეოთხე პუნქტით განსაზღვრულია სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და შეფასების პერიოდი და ის მოიცავს ერთ წელს, კერძოდ, კალენდარული წლის დასასრულს.

წესში განხილულია მონიტორინგისა და შეფასების საკითხები, სადაც ვკითხულობთ, რომ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგი მიზნად ისახავს ამოცანებითა და აქტივობებით განსაზღვრული შედეგების შესრულების შემოწმებას, გამოწვევების გამოვლენასა და რეკომენდაციების განსაზღვრას. სამოქმედო გეგმის მონიტორინგი მიემართება მონაცემების შეგროვებისკენ, რაც მკაფიოს გახდის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ამოცანებისა და აქტივობების შესრულების შედეგს.
წესის თანახმად შეფასების შედეგად გაანალიზდება დაწესებულების მიერ შეგროვებული მონაცემები და შემდგომი რეაგირებისთვის განისაზღვრება საჭიროებები. სამოქმედო და სტრატეგიული გეგმების შეფასების პროცესების შედეგები გამოყენებულიქნება დაწესებულების შემდგომი განვითარებისათვის.

საავტორიზაციო ვიზიტის დროს ინტერვიურებაში მონაწილე პირებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ ზემოხსენებული წესის მე-13-ე მუხლის მეორე და მეოთხე პუნქტებით განსაზღვრული პერიოდი დაწესებულების მიერ გამოყენებული იქნება მონიტორინგისა და შეფასების პროცესების უზრუნველსაყოფად, რაც ხელს შეუწყობს გამოწვევების გამოვლენასა და მათ თანმიმდევრულ აღმოფხვრას.

აღნიშნულიდან გამომდინარე **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

6. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები საჯაროდაა ხელმისაწვდომი და გამოიყენება დაწესებულების შემდგომი განვითარებისთვის

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას მტკიცებულების სახით წარმოდგენილი აქვს ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანების“ დირექტორის 2025 წლის 30 ივნისის N-204 ბრძანებით დამტკიცებული „სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი“ (შემდგომში-„წესი“), რომლის მე-6-ე მუხლის (“დოკუმენტის გაზიარება“) მეორე პუნქტით განსაზღვრულია შემდეგი:

„ 1.დაწესებულების მიერ სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში შემუშავებული დოკუმენტების დაინტერესებული მხარეებისათვის გაზიარება უზრუნველყოფს სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების პროცესში სხვადასხვა მხარის ჩართვას.

2.პროცესში შემუშავებული დოკუმენტების გაზიარებისათვის გამოიყენება შემდეგი საკომუნიკაციო არხები:

ა) საჯარო ღონისძიებები (შეხვედრები)

ბ) საინფორმაციო დაფა. ‘’

საავტორიზაციო ვიზიტის დროს ინტერვიურებაში მონაწილე პირებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ ზემოხსენებულ წესში განსაზღვრული საკომუნიკაციო არხები გამოყენებულიქნება საჯაროობის უზრუნველსაყოფად, რადგან მოცემული მომენტისთვის დაწესებულებას არ აქვს დაწყებული სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების განხორციელება.

აღნიშნულიდან გამომდინარე **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ა(ა)იპ-„ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანების“ დირექტორის 2025 წლის 30 ივნისის N-204 ბრძანება „სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი“-ს დამტკიცების შესახებ.

2. გაერთიანების დირექტორის მიერ დამტკიცებული „სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი“.

3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შემუშავების პროცესის დამადასტურებელი სხდომის ოქმი.

4. პირისპირ შეხვედრის დროს გამოყენებული ინტერვიუირების მეთოდი.

4. გაერთიანების დირექტორის 2024 წლის 16 სექტემბრის N-348 ბრძანება „სტრუქტურული ერთეულებისთვის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“.

6.დამტკიცებული 2024-2025 სასწავლო-სააღმზრდელო წლის სამოქმედო გეგმა.

5. უფლებამოსილი პირის მიერ 2023 წლის 02 თებერვლის N-39 ბრძანებით დამტკიცებული „სტრატეგიული განვითარების გეგმა“.

შეფასება:			
1.2. სტრატეგიული განვითარება			
შეესაბამება ☐	მეტწილად შეესაბამება ☒	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

2. კურიკულუმი [3]

პროგრამის სახე

.სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა

კურიკულუმის დასახელება

1. „ადრეული განათლების
კურიკულუმი თამაში "
2. სასკოლო მზაობის პროგრამა
„თამაში" აქტივობათა კრებული "

2.1. კურიკულუმის დაგეგმვა

2.1.1. დაწესებულებაში მოქმედებს კურიკულუმის დაგეგმვის პრაქტიკა

[3]მეორე სტანდარტის „კურიკულუმის" ყველა ველი ივსება თითოეული პროგრამისათვის ცალ-ცალკე.

1. პროგრამის განხორციელებისას დაწესებულება ხელმძღვანელობს წინასწარ შერჩეული/შემუშავებული კურიკულუმით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება პროგრამის განხორციელებისას ხელმძღვანელობს წინასწარ შერჩეული კურიკულუმებით:

1.ადრეული განათლების კურიკულუმი,,თამაში''(ნაწილი1 და ნაწილი2);
2.სასკოლო მზაობის პროგრამა ,,თამაში'' აქტივობათა კრებული (პირველი და მეორე ნაწილი).

დაწესებულებამ მტკიცებულების სახით წარმოადგინა ა(ა)იპ. „ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანების“ დირექტორის 2025წლის 30 ივნისის N-205 ბრძანებით დამტკიცებული ,,კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესი“, რომლის მუხლი 2-ის მიხედვით დაწესებულებამ წარმოადგინა კურიკულუმის შერჩევის დოკუმენტები-სხდომის ოქმი N-1 და სხდომის ოქმი N-2.
2025წლის 3 ივლისს შედგა ა(ა)იპ "ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანების" კურიკულუმის შერჩევაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფის სხდომა.
სხდომაზე განიხილეს შერჩეული კურიკულუმები, რაც დასტურდება მტკიცებულებით ოქმი N1.

სამუშაო ჯგუფის მიერ შერჩეული იქნა სასკოლო მზაობის პროგრამა ,,თამაში'' და ადრეული განათლების კურიკულუმი ,,თამაში'' აქტივობათა კრებული.

შერჩეული კურიკულუმის წარდგენა მოხდა გაერთიანების დირექტორთან, რაც დასტურდება მტკიცებულებით ოქმი N2.

სამუშაო ჯგუფის მიერ შერჩეული კურიკულუმები გაერთიანების დირექტორმა დაამტკიცა 2025 წლის 11ივლისის N-230 ბრძანებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....
.....

რჩევა

.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....

2. დაწესებულების მიერ შერჩეული/შემუშავებული კურიკულუმი ხელს უწყობს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტებით დადგენილი შედეგების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ მტკიცებულების სახით წარმოადგინა გაერთიანების დირექტორის მიერ 2025 წლის 11 ივლისის, ბრძანებით N-230 დამტკიცებული კურიკულუმები.

კურიკულუმები ეფუძნება ადრეული და სკოლამდელი განათლების სახელმწიფო სტანდარტებს, კერძოდ, ბავშვის აღზრდისა და განათლების სტანდარტს და ადრეული და სკოლამდელი დაწესებულების გარემოსა და სასწავლო აღმზრდელობითი პროცესის ხარისხის სტანდარტს.

ადრეული განათლების კურიკულუმი ხელს უწყობს ბავშვის განვითარების ჰოლისტურ მიდგომას და მიზნად ისახავს ბავშვის ყოვლისმომცველი განვითარების ხელშეწყობას, ფიზიკური, ემოციური, სოციალური, ენობრივი, შემეცნებითი მიმართულებით.
კურიკულუმის მთავარი მიზანია ბავშვმა მიიღოს მრავალფეროვანი გამოცდილება თამაშის, ურთიერთობისა და კვლევის გზით, რაც ხელს უწყობს მის ინდივიდუალურ და სოციალურ განვითარებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შერჩეული კურიკულუმები ხელს არ უშლის სახელმწიფო სტანდარტით განსაზღვრული შედეგების მიღწევას, შერჩეული კურიკულუმი საფრთხეს არ უქმნის ბავშვის კეთილდღეობას, აძლევს ბავშვს არჩევანის თავისუფლებას და გადაწყვეტილების მიღების საშუალებას საკუთარი ინტერესის შესაბამისად, რაც ვლინდება კურიკულუმების მეთოდოლოგიაში.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....
.....

რჩევა

.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

3. კურიკულუმი ეფუძნება თამაშს და ითვალისწინებს ბავშვს, როგორც აქტიურ მონაწილეს საკუთარი სწავლისა და განვითარების პროცესში

ნდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ მტკიცებულების სახით წარმოადგინა ცენტრის დირექტორის 2025 წლის 30 ივნისის N-206 ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“, რომლის მე-3 მუხლის მე-5 პუნქტის ,,გ“და ,,დ“ ქვეპუნქტი განსაზღვრავს თამაშზე ორიენტირებულ პროცესს, სხვადასხვა ტიპის თამაშზე ორიენტირებას, სხვადასხვა გარემოში (შიდა/გარე). წესი აგრეთვე განსაზღვრავს, ბავშვის მიერ ინიცირებულ აქტივობებს.

აღნიშნული წესი არეგულირებს და ითვალისწინებს, რომ კურიკულუმი ეფუძნება თამაშს. ეს ნათლად აისახება დაწესებულების გარემოს ფიზიკურ მოწყობაზე.
ჯგუფში განთავსებული ცენტრები ხელს უწყობს ბავშვს ითამაშოს სხვადასხვა სახის თამაში. ცენტრებში განთავსებულია მზა და მეორადი საგანმანათლებლო რესურსი.

დაწესებულების საგანმანათლებლო პერსონალთან ინტერვიუირების დროს დადგინდა, რომ პერსონალს გააზრებული აქვს და სწავლების პროცესს მთლიანად ააგებს თამაშზე.
ინტერვიუირებიდან გამოიკვეთა, რომ ბავშვებს მისცემენ იმის შესაძლებლობას, რომ მათ დამოუკიდებლად იაზროვნონ და იკვლიონ.

ტრანზიციის დროს გამოყენებული იქნება თამაში, რაც ბავშვებს დაეხმარება ერთი საქმიანობიდან სხვა საქმიანობაზე გადასვლაში.

დაწესებულება მომავალში გეგმავს სასკოლო მზაობის ბავშვებთან დაგეგმოს დიდი ტრანზიცია ,,სკოლაში“, რათა სასკოლო მზაობის ბავშვებს გაუმარტივდეთ ბაღიდან სკოლაში წასვლა.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

4. კურიკულუმი ითვალისწინებს ოჯახთან/თემთან თანამშრომლობას და მათ ჩართულობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმები ითვალისწინებს ოჯახთან და თემთან თანამშრომლობას , მათ ჩართულობას ბაღის ცხოვრებაში და პოზიტიური ურთიერთკავშირების ჩამოყალიბებას. ასევე, მშობელთა რეგულარულ შეხვედრებს და მათთან კომუნიკაციას ბავშვის მიღწევებსა და პროგრესზე.
კურიკულუმი ამასთანავე ითვალისწინებს თემის რესურსების გამოყენების შესაძლებლობას საგანმანათლებლო პროცესში და მათი გამოცდილების გაზიარებას.

გაერთიანების დირექტორის მიერ 2025 წლის 11ივლისის N-227 ბრძანებით დამტკიცებულია საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი, რომლის მე-3 მუხლი არეგულირებს სამიზნე აუდიტორიის შერჩევას, სადაც განსაზღვრულია გარე აუდიტორია-მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი, ასევე, თემი.

დაწესებულებამ წარმოადგინა გაერთიანების დირექტორის მიერ 2025 წლის 30 ივნისის N-205 ბრძანებით დამტკიცებული ,,კურიკულუმის შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესი“, რომელიც განსაზღვრავს დაწესებულების თანამშრომლობას ოჯახთან და თემთან, ხელს უწყობს მათ ჩართულობას ბაღის ცხოვრებაში და პოზიტიური ურთიერთკავშირების ჩამოყალიბებას.

დაწესებულებამ წარმოადგინა წერილობითი თანხმობა/უარყოფა ბავშვის დაწესებულების გარეთ გაყვანაზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

.....

.....

რეკომენდაცია

.....
.....

რჩევა

.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....

5. კურიკულუმი ითვალისწინებს მრავალფეროვან, ასაკისა და განვითარების შესაბამის საქმიანობებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმი ითვალისწინებს მრავალფეროვანი ასაკის და განვითარების შესაბამის საქმიანობებს.

აღმზრდელებთან ინტერვიუირების დროს გამოიკვეთა, რომ ისინი გაითვალისწინებენ თითოეული ბავშვის თავისებურებებს და დაგეგმავენ განვითარების დონეების შესაბამის მრავალფეროვან აქტივობებს.

დაწესებულების შიდა და გარე სივრცე იძლევა იმის საშუალებას, რომ ჩატარდეს სხვადასხვა ტიპის თამაშები. დაწესებულებას გააზრებული აქვს, რომ კურიკულუმი ითვალისწინებს თემთან თანამშრომლობას. რაც ვლინდება გაეთიანების დირექტორის მიერ 2025 წლის 11 ივლისს N-227 ბრძანებით დამტკიცებულ ,,საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესში“.

საგანმანათლებლო პერსონალთან ინტერვიუირების დროს გამოიკვეთა, რომ მათ გააზრებული აქვთ და ისინი პარქტიკაში გაითვალისწინებენ თითოეული ბავშვის ასაკობრივ თავისებურებებს და ინდივიდუალურ განსხვავებებს. საგანმანათლებლო პერსონალს გააზრებული აქვს რა არის შესაფერისი ბავშვებისთვის , როგორც ინდივიდუალურ ჭრილში, ასევე ბავშვების ჯგუფებისთვის.

ინტერვიუირების დროს დადგინდა, რომ ისინი თანმიმდევრულად დააკვირდებიან თითოეულ ბავშვს.
დაკვირვებიდან გამომდინარეობს პროცესის ინდივიდუალიზაცია. აქედან გამომდინარე საგანმანათლებლო პერსონალი დაგეგმავს შესაბამის საგანმანათლებლო საქმიანობებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....
.....
.....

რჩევა

.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....

6. კურიკულუმი გაზიარებულია დაწესებულების პერსონალთან და მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის

დაწესებულებამ მტკიცებულების სახით წარმოადგინა ა(ა)იპ. „ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანების“ ,,კურიკულუმის შერჩევაზე'' პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი N-2, რომელიც შედგა 2025 წლის 3 ივლისს.
სხდომაზე დაადგინეს დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმები სასკოლო მზაობის პროგრამა ,,თამაში'' და ადრეული განათლების კურიკულუმი ,,თამაში''.
სხდომამ დაადგინა დაინტერესებული მხარეებისთვის შერჩეული კურიკულემბის გასაზიარებლად განისაზღვროს სექტემბრის თვე.

ინტერვიუირებიდან გამოიკვეთა, რომ დაწესებულება მომავალში გეგმავს კურიკულუმების გაზიარებას სხვა დაინტერესებულ პირებთან, მათ შორის, ოჯახთან და თემთან.

ინტერვიუირება შედგა საშტატო ნუსხით განსაზღვრულ პოზიციაზე დასაქმებულ აღმზრდელ-მასწავლებელთან, რომელსაც გავლილი აქვს ტრენინგი ,,კურიკულუმი'' და ,,თამაში''.
გაერთიანების დირექტორის მოადგილემ, რომელიც გახლავთ კურიკულუმის შერჩევაზე პასუხისმგებელი ჯგუფის თავმჯდომარე, განაცხადა, რომ დაინტერესებულ მხარეებს კურიკულუმებს გაუზიარებს სექტემბრის თვეში.
დაწესებულებამ მტკიცებულების სახით წარმოადგინა სამუშაოს ჯგუფის ოქმი N-2, სადაც განსაზღვრულია კურიკულუმების დაინტერესებულ მხარეებთან გაზიარების აუცილებლობა.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....
.....

რჩევა

სასურველია დაწესებულებამ გაითვალისწინოს რჩევა კურიკულუმის დაინტერესებულ მხარეებთან დროულად გაზიარების შესახებ.
.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
.....
.....

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
1.უფლებამოსილი პირის მიერ დამტკიცებული 2025წ. 30 ივნისს N-205 ბრძანებით დამტკიცებული კურიკულუმის შერჩევის,გაზიარების,შეფასების და განვითარების მარეგულირებელი წესი.
2.უფლებამოსილი პირის მიერ დამტკიცებული 2025წ. 11ივლისს N-230.ბრძანებით დამტკიცებული კურიკულუმები.
3. უფლებამოსილი პირის მიერ დამტკიცებული 2025წ. 3 ივლისის კურიკულუმის შერჩევაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი N-1.და ოქმი N-2.
4.ინტერვიუირების შედეგი.
5.2025წ 11 ივლისის N-227 ბრძანებით დამტკიცებული ,,საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი“.

შეფასება:			
2.1. კურიკულუმის დაგეგმვა			
შეესაბამება ☒	მეტწილად შეესაბამება ☐	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. დაწესებულებაში მოქმედებს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის პრაქტიკა

1. საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა შეესაბამება კურიკულუმით განსაზღვრულ პერიოდულობას და ხანგრძლივობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმების საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის ხანგრძლივობისა და პერიოდულობის განსაზღვრა ეფუძნება გაერთიანების დირექტორის მიერ 2025 წლის 30 ივნისის N-206 ბრძანებით დამტკიცებულ ,,საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესს“, რომლის მუხლი 3 განსაზღვრავს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვას შემდეგნაირად:

„1.საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის ეტაპზე დაწესებულება აყალიბებს კურიკულუმის შესაბამის გეგმებს.
2.დაწესებულებაში შემუშავებული გეგმა არის მოკლევადიანი (ყოველკვირეული) და გრძელვადიანი (კვარტალური) და შეესაბამება დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმის მოთხოვნებს.
3.გრძელვადიანი გეგმა იქმნება დაწესებულების დირექტორის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ, რომლის შემადგენლობაში შედის საგანმანათლებლო პერსონალი, მეთოდისტი და დაწესებულების ხელმძღვანელი.
4.მოკლევადიანი გეგმა იქმნება თითოეული ჯგუფის ყველა ინ საგანმანათლებლო პერსონალის მიერ, რომელიც უშუალოდ მუშაობს ბავშვთან. მოკლევადიანი გეგმის შემუშავების პროცესის ზოგად მეთვალყურეობას ახდენს მეთოდისტი.
5.დაწესებულების მიერ ამ მუხლით დადგენილი წესით შემუშავებული მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმის ფორმები დამტკიცებულია გაერთიანების ბრძანებით.“

დაწესებულებამ წარმოადგინა გაერთიანების დირექტორის მიერ 2024 წლის 13 სექტემბერის N-333 ბრძანებით დამტკიცებული დღის განრიგი.

საგანმანათლებლო პერსონალთან ინტერვიუს დროს გამოვლინდა , რომ დაწესებულების პერსონალს გავლილი აქვს აღმზრდელ-პედაგოგის 66 საათიანი ტრენინგ მოდული. ისინი გაეცნენ ახალი მოკლევადიანი კვირის გეგმას. აღნიშნული გეგმის ძირითადი კომპონენტებია: მიზანი, აღმზრდელის სტრატეგია, ინდივიდუალიზაცია, აღმზრდელის მიერ ინიცირებული აქტივობები, რეფლექსია და ტრანზიცია.
დაწესებულებამ წარმოადგინა გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 25 აგვისტოს N-273 ბრძანებით დამტკიცებული მოკლევადიანი გეგმა.
აღნიშნულ გეგმაში განსაზღვრულია: თემა, ცენტრები, რესურსი, ინდივიდუალიზაცია და რეფლექსია, მაგრამ არ იკითხება მიზანი, აღმზრდელის სტრატეგია და ტრანზიცია.

აღნიშულიდანს გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

ინდიკატორის დაკმაყოფილებისთვის დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს და მოკლევადიან გეგმაში განსაზღვროს მიზნები, აღმზრდელის სტრატეგია და ტრანზიცია.

.....
.....

რჩევა

.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულება ეთანხმება ექსპერტის მიერ იდენტიფიცირებულ ხარვეზს და აღმოჩენილი ხარვეზის აღმოსაფხვრელად, წარმოადგინა შეუსაბამობასთან მიმართებით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა 12 თვის ვადით.დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა მოიცავს შემდეგ აქტივობებს:
1)ბრძანებით სამუშაო ჯგუფის შექმნა;
2)ჯგუფის მიერ მოკლევადიან გეგმასი ცვლილების შეტანა,სადაც განსაზღვრული იქნება მიზანი,აღმზრდელის სტრატეგია,ტრანზიცია და ოქმის შედგენა.
3)ცვლილებაშესული გეგმის დამტკიცება;
4)გეგმის გაცნობა აღმზრდელებისთვის;
5)აღმზრდელის მიერ გეგმის შევსება.
აღნიშნულ აქტივობებთან დაკავშირებით ექსპერტის შეფასება შეიცვალა მეტწილ შესაბამისობით.

2. კურიკულუმის შესაბამისი გეგმა/გეგმების შემუშავება თანამონაწილეობითი პროცესია და ხორციელდება ჯგუფის საგანმანათლებლო პერსონალის მიერ

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებელმა დაწესებულებამ მტკიცებულების სახით წარმოადგინა გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 30 ივნისის N-206 ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“.
მე-3 მუხლის თანახმად საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა წარიმართება შემდეგნაირად:
1.საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის ეტაპზე დაწესებულება აყალიბებს კურიკულუმის შესაბამის გეგმებს;
2.დაწესებულებაში შემუშავებული გეგმა არის მოკლევადიანი (ყოველკვირეული) და გრძელვადიანი (კვარტალური) , შეესაბამება დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმის მოთხოვნებს;

3.გრძელვადიანი გეგმა იქმნება დაწესებულების დირექტორის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ, რომლის შემადგენლობაში შედის საგანმანათლებლო პერსონალი, მეთოდისტი და დაწესებულების ხელმძღვანელი;

4.მოკლევადიანი გეგმა იქმნება თითოეული ჯგუფის ყველა იმ საგანმანათლებლო პერსონალის მიერ, რომელიც უშუალოდ მუშაობს ბავშვთან. მოკლევადიანი გეგმის შემუშავების პროცესს ზოგად მეთვალყურეობას ახდენს მეთოდისტი;

5.დაწესებულების მიერ ამ მუხლით დადგენილი წესით შემუშავებული მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმის ფორმები დამტკიცებულია გაერთიანების დირექტორის მიერ.
გაერთიანების დირექტორის მიერ 2025 წლის 25 აგვისტოს ბრძანებით N-275 დამტკიცებული მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმები მოიცავს შემდეგ ასპექტებს:
ა)აჯგუფის საჭიროებები და ინტერესები;
ბ)ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებები;
გ)თამაშზე ორიენტირებული პროცესი;
დ)სხვადასხვა ტიპის თამაშზე ორიენტირება, სხვადასხვა გარემოში (შიდა და გარე) საგანმანათლებლო პროცესის წარმართვის შესაძლებლობა;
ე)ბავშვის მიერ ინიცირებული აქტივობა.
დაწესებულების პერსონალმა მატერიალური სახით წარმოადგინა მოკლევადიანი გეგმის ფორმები, რომელიც დამტკიცებულია გაერთიანების დირექტორის მიერ. აღნიშნულ გეგმაში არ იკითხება აღმზრდელის სტრატეგია, მიზანი და ტრანზიცია.
საგანმანათლებლო პერსონალი საუბრობს, თუ როგორ მოხდება გეგმის შემუშავება.განსაზღვრავენ რა როგორ და რატომ უნდა გაკეთდეს საგანმანათლებლო პერსონალთან ინტერვიუირების შედეგად დადგიდა,რომ ისინი გეგმას შეიმუშავებენ ერთად.
დაწესებულებას არააქვს განსაზღვრული რა პერიოდულობით მოხდება გეგმების გადახედვა.
აღნიშნული ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

1.სასურველია დაწესებულებამ გაითვალისწინოს რჩევა და საშტატო ნუსხით განსაზღვრული პოზიციის „აღმზრდელ-მასწავლებელი“ დასახელება შეცვალოს ტერმინით „აღმზრდელი“ ან „აღმზრდელ-პედაგოგი“, რათა საგანმანათლებლო პერსონალის პოზიციების დასახელებები შეესაბამებოდეს მოქმედ ნორმატიულ აქტებში გამოყენებულ ტერმინოლოგიას
2.სასურველია დაწესებულებამ გაითვალისწიონოს რჩევა და განსაზღვროს გეგმების გადახედვის პერიოდი.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

3. საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში შექმნილი დოკუმენტაცია ასახავს ჯგუფის საჭიროებებსა და ინტერესებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა, გაერთიანების დირექტორის 2025წლის 30 ივნისის N-206 ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“.

წარმოდგენილი დოკუმენტი განსაზღვრავს საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში შემდეგი დოკუმენტაციის წარმოებას:
1.ბავშვის ინდივიდუალური პორტფოლიო;
2. აღმზრდელ-მასწავლებლის პორტფოლიო.

დოკუმენტის თანახმად ბავშვის ინდივიდუალური პორტფოლიო უნდა მოიცავდეს შემდეგ ნაწილებს:
1.ბავშვზე დაკვირვების ჩანაწერები;
2.ბავშვის შეფასების ჩანაწერები;
3.ბავშვის ნამუშევრები სხვადასხვა თამაშის და აქტივობის დროს.

აღმზრდელ მასწავლებლის პორტფოლიო მოიცავს შემდეგ ნაწილებს:
1.დღის განრიგი;
2.გრძელვადიანი და მოკლევადიანი გეგმები;
3.რეფლექსური ჩანაწერები.

ინდიკატორის მოთხოვნა დასტურდება საგანმანათლებლო პერსონალთან ინტერვიუირებით, ყველა საგანმანათლებლო პერსონალს აქვს შექმნილი პორტფოლიო, რაც წარმოადგინეს მატერიალური სახით.
ასევე ინტერვიუირებიდან გამოიკვეთა, რომ ისინი ჯგუფის საჭიროებებიდან გამომდინარე შექმნიან ბავშვის ინდივიდუალურ პორთფოლიოებს სადაც თავს მოუყრიან ბავშვის დაკვირვების და რეფლქსიურ ჩანაწერებს, აგრეთვე მათ ნამუშევრებს.
დაწესებულებას ინდიკატორის მოთხოვნა გააზრებული აქვს.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

4. საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში შექმნილი დოკუმენტაცია ასახავს ბავშვის ინდივიდუალურ საჭიროებებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ მტკიცებულების სახით წარმოადგინა გაერთიანების დირექტორის მიერ 2025 წლის 30 ივნისის N-206 ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“.

ამ წესის მუხლი 4 განსაზღვრავს ინდივიდუალიზაციის ასპექტს, რაც გულისხმობს:
1.ამ წესის მე-3 მუხლის მე-5 პუნქტის ,,ბ'' ქვეპუნქტით განსაზღვრული ინდივიდუალიზაცია ვლინდება მოკლევადიან გეგმებში ინდივიდუალიზაციის შეტანით/გაწერით;
2.ინდივიდუალიზაციის გრაფაში მოცემულია ბავშვის სწავლისა და განვითარების ინდივიდუალური მიზნების მიღწევის საშუალებები.

დაწესებულებამ წარმოადგინა ბავშვზე დაკვირვების ფორმები, დამტკიცებული გაერთიანების დირექტორის მიერ 2025 წლის 25 აგვისტოს N-275 ბრძანებით. დაკვირვების ფორმები დაეხმარება აღმზრდელს თითოეული ბავშვის საჭიროებების გამოვლენაში.

ინტერვიუირებიდან გამოვლინდა , რომ მომავალში აღმზრდელ-მასწავლებელი საჭიროების შემთხვევაში აწარმოებს ბავშვის ინდივიდუალურ განვითარების გეგმას, რაც წარმოადგინა მატერიალური სახით.
აღმზრდელ- მასწავლებელმა ისაუბრა, რომ ჯგუფში შექმნის ბავშვის ინდივიდუალურ პორტფოლიოს სადაც თავს მოუყრის ბავშვის ნამუშევრებს, დაკვირვების სხვადასხვა ფორმებს, რაც დაეხმარება ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებების გამოვლენაში.
დაწესებულებას ინდიკატორის მოთხოვნა გააზრებული აქვს.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

სასურველია დაწესებულებამ გაითვალისწინოს რჩევა და საშტატო ნუსხით განსაზღვრული პოზიციის „აღმზრდელ-მასწავლებელი“ დასახელება შეცვალოს ტერმინით „აღმზრდელი“ ან „აღმზრდელ-პედაგოგი“, რათა საგანმანათლებლო პერსონალის პოზიციების დასახელებები შეესაბამებოდეს მოქმედ ნორმატიულ აქტებში გამოყენებულ ტერმინოლოგიას.

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

5. თამაში/თამაშის ელემენტები საგანმანათლებლო პროცესის, მათ შორის ტრანზიციის წარმართვის ძირითადი ხერხია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

აღნიშნულ დაწესებულებაში საგანმანათლებლო პროცესის წარმართვის ძირითადი ხერხი არის თამაში/თამაშის ელემენტები, რაც დასტურდება დაწესებულების მიერ შერჩეული დეკლარირებული კურიკულუმებით, რომელიც სრულად ეფუძნება თამაშს.

დაწესებულებამ წარმოადგინა გაერთიანების დირექტორის მიერ 2025 წლის 30 ივლისის N-206 ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის,შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“, რომლის მუხლი 3 განსაზღვრავს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვას.
მე-5 პუნქტის ,,გ“ და ,,დ“ ქვეპუნქტები განსაზღვრავს თამაშზე ორიენტირებულ პროცესს და სხვადასხვა ტიპის თამაშზე ორიენტირებას სხვადასხვა გარემოში (შიდა/გარე).

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დღის განრიგი იმგვარადაა ორგანიზებული, რომ ბავშვების საბავშვო ბაღში გატარებული დროის დიდი ნაწილი ეთმობა თამაშს.

საგანმანათლებლო პერსონალთან ინტერვიუირების დროს გამოიკვეთა, რომ მათ უკვე გააზრებული აქვთ მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმების შედგენის დროს აქტივობების თამაშით განხორციელების აუცილებლობა .
საგანმანათლებლო პერსონალმა კარგად იცის რა არის თამაში,რა როლი და ფუნქცია აქვს მას სწავლისა და განვითარების პროცესში.

რაც აისახება გარემოს ფიზიკურ მოწყობაზე. ფიზიკური გარემოს დათვალიერებისას, როგორც შიდა,ისე გარე სივრცე(ეზო) მოწყობილია ცენტრებად,სადაც შეტანილია როგორც მზა,ასევე, მეორადი საგანმანათლებლო რესურსი.
საგანმანათლებლო პერსონალი გეგმავს გამოიყენოს თამაშის ელემენტები მცირე ტრანზიციის დროს (გათვლები, სახალისო სიმღერები, გამოცანები და ა.შ.). საგანმანათლებლო პერსონალი საუბრობს უფროსის მიერ ინიცირებულ თამაშების შეტანას პროცესის დროზე.
აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაწერსებულებას გააზრებული აქვს.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია
.....
.....
რჩევარეკომენდაცია
.....
.....
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
.....
.....

6. დღის განმავლობაში თითოეულ ბავშვს აქვს სხვადახვა ტიპის თამაშში ჩართვის საშუალება როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფურად როგორც შენობაში, ისე მის გარეთ

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებაში დღის განმავლობაში თითოეულ ბავშვს აქვს სხვადასხვა ტიპის თამაშებში ჩართვის შესაძლებლობა, რაც ვლინდება დაწესებულების მიერ წარმოდგენილ მექანიზმში, მოკლევადიან გეგმაში.

ჯგუფში გამოკრული დღის განრიგი არის ილუსტრირებული. განრიგში გაწერილია საქმიანობები, როგორც ჯგუფში, ასევე ეზოში.

მოკლევადიან გეგმაში განსაზღვრულია კვირის რეფლექსია.

აღმზრდელმა ინტერვიუირების დროს ისაუბრა თუ რაზე უნდა გაამახვილოს რეფლექსიის წერის დროს ყურადრება.
ჯგუფში მოწყობილი სივრცეები იძლევა იმის საშუალებას, რომ ბავშვებმა ითამაშონ და იკვლიონ თავისუფლად.

ჯგუფში არსებული ცენტრებია: წიგნიერება, წყნარი სივრცე, კონსტრუქციული, სამაგიდო, შეხვედრების სივრცე, დრამის ცენტრი, სენსორული, ხელოვნება და მეცნიერება.

არსებულ ცენტრები აღჭურვილია, როგორც მზა, ასევე მეორადი საგანმანათლებლო რესურსით. ყველა რესურსი არის აღმზრდელის მიერ დაორგანიზებული, მოთავსებულია კონტეინერებში ვიზუალური მინიშნებებით. აღნიშნული ინდიკატორის მოთხოვნა დაწესებულებას გააზრებული აქვს.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

2.2.2. დაწესებულების საგანმანათლებლო რესურსი უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას

1. დაწესებულებაში მოქმედებს საგანმანათლებლო პროცესის რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის მექანიზმი

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა გაერთიანების დირექტორის მიერ 2025წლის 30 ივნისის N-206 ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო პროცესის რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“, რომლის მე-5 მუხლი არეგულირებს დაწესებულების მიერ შერჩეული საგანმანათლებლო პროცესის უზრუნველსაყოფად რესურსების განსაზღვრას.

ამავე წესის მუხლი 6 განსაზღვრავს საგანმანათლებლო პროცესის რესურსით უზრუნველყოფის ორგანიზებას.

მინიმალური საგანმანათლებლო რესურსის შეძენა ხორციელდება სატენდერო შესყიდვისა და პირდაპირი შესყიდვის გზით.

მე-6 მუხლი-ს მე-2 პუნქტი განსაზღვრავს საგანმანათლებლო პროცესისთვის საჭირო მინიმალური საგანმანათლებლო რესურსების საჭიროების შესახებ ინფორმაციის მიღებას, აღნიშნული რესურსების შეძენა, ხორციელდება ამავე წესში წარმოდგენილი სქემის მიხედვით:
1.მინიმალური საგანმანათლებლო რესურსის განსაზღვრა/განახლება ბაღების მიხედვით;
2.შესყიდვის განხორციელება;
3.შეძენილი რესურსის მიღება და აღრიცხვა;
4.შეძენილი საგანმანათლებლო რესურსის განაწილება ბაღების მიხედვით;
5.შეძენილი საგანმანათლებლო რესურსის განაწილება ჯგუფებში;
6.ხარჯვის აქტი/საგანმანათლებლო რესურსის ინვენტარიზაცია(დაწესებულების მიერ დადგენილი პერიოდით)
დაწესებულებამ წარმოადგინა გაერთიანების დირექტორის 2025წლის 25 აგვისტოს N-274 ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო რესურსების ნუსხა, რომელიც განსაზღვრავს შემდეგი რესურსის არსებობის აუცილებლობას:

1)ბუნებრივი მასალების კოლექცია;
2)პლასტმასის სათამაშოები;
3)სამეცნიერო შინაარსის წიგნები, თამაშები, სათამაშოები, ვიდეოები;
4)ხელსაწყოები;
5)ნივთიერებები.

ამ წესის მე-6 მუხლის მე-5 პუნქტი განსაზღვრავს რესურსების მოძიების შემდეგ ალტერნატიულ გზებს:
ა)მოგროვება;
ბ)დონაცია;
გ)დამზადება.

პერსონალთან ინტერვიუირების დროს გამოვლინდა , რომ ისინი მეორადი რესურსების მოსაგროვებლად პროცესში ჩართავენ მშობლებს და, ამასთანავე, გამოიყენებენ თემში არსებულ ახლომდებარე მარკეტს.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია
.....
.....
რჩევა

სასურველია დაწესებულებამ გააფორმოს მემორანდუმი თემში არსებულ მარკეტთან, რათა გაამყაროს ურთიერთანამშრომლობა და მიიღოს მეორადი, ეკოლოგიურად სუფთა მასალა.

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

2. დაწესებულებას აქვს კურიკულუმის შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსი ბავშვთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანების“ დირექტორის 2025 წლის 30 ივნისის N-208 ბრძანებით დამტკიცებული „ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესი“, რომლის მე-4 მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო რესურსი განისაზღვრება დაწესებულებაში მოქმედი კურიკულუმის მოთხოვნებიდან გამომდინარე.

მინიმალური საგანმანათლებლო რესურსის თანაფარდობა ბავშვთა რაოდენობასთან მიმართებით მოცემულია დეკლარირებულ კურიკულუმში. საგანმანათლებლო პერსონალთან ინტერვიუირების დროს გამოიკვეთა , რომ თავდაპირველად საბავშვო ბაღის საგანმანათლებლო პერსონალის მიერ განისაზღვრება ბაღისთვის საჭირო რესურსები და მასზე დაყრდნობით მოხსენებითი ბარათი წარედგინება გაერთიანების დირექტორს. შემდეგ ხდება რესურსის მიღება და აღრიცხვა, რესურსის განაწილება ბაღში.
დაწესებულება ვერ უზრუნველყოფს მოთხოვილ ბავშვთა რაოდენობას საგანმანათლებლო რესურსით.
გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 25 აგვისტო N-274 ბრძანება ამტკიცებს ,,საგანმანათლებლო რესურსების ნუსხას''. დოკუმენტში არ არის განსაზღვრული ბავშვ(ებ)ზე თუ რა რაოდენობის საგანმანათლებლო რესურსია განსზღვრული.

დაწესებულებამ წარმოადგინა ცენტრის დირექტორის 2025 წლის N-206 ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო პროცესის რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“, რომლის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულია საგანმანათლებლო რესურსების საჭიროებების შესახებ ინფორმაციის შეგროვება და დამუშავება. წესის შესაბამისად განხორციელდება ყოველწლიურად პერიოდული ინვენტარიზაცია.

დაწესებულებას არ აქვს განსაზღვრული 2025 წლის ბიუჯეტში კურიკულუმის შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც იქნება მოთხოვილი ბავშვთა რაოდენობის შესაბამისი.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

ინდიკატორის დაკმაყოფილებისთვის დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს :
1.უზრუნველყოს ბავშვთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით ჯგუფის საჭიროებებზე მორგებული საკმარისი საგანმანათლებლო რესურსებით ბაღის მომარაგება;

2.რესურსების შეძენისას იხელმძღვანელოს ა(ა)იპ. „ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანების“ დირექტორის 2025 წლის 25 აგვისტოს N-274 ბრძანებით დამტკიცებული სტრუქტურული ერთეულებისათვის ,,საგანმანათლებლო რესურსების ნუსხით“.

3.აღნიშნული რესურსების ფლობა იკითხებოდეს ბაღის ინვენტარიზაციის დოკუმენტში.

რჩევა

.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულება ეთანხმება ექსპერტის მიერ იდენტიფიცირებულ ხარვეზს და აღმოჩენილი ხარვეზის აღმოსაფხვრელად,წარმოადგინა შეუსაბამობასთან მიმართებით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა 12 თვის ვადით.დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა მოიცავს შემდეგ აქტივობებს:
1)ინვენტარიზაციის ჩატარება;
2)საგანმანათლებლო რესურსის საჭიროების დადგენა;
3)ერთ ბავშვზე გათვალისწინებული საგანმანათლებლო რესურსის დადგენა;
4)საგანმანათლებლო რესურსების ნუსხის შექმნა;
5)საგანმანათლებლო რესურსებით ჩამონათვალი დამტკიცება;
6)რესურსების ინვენტარიზაციის დოკუმენტში ასახვა.
აღნიშნულ აქტივობებთან დაკავშირებით ექსპერტის შეფასება შეიცვალა მეტწილი შესაბამისობით

2.2.3. დაწესებულების შიდა და გარე სივრცეების მოწყობა უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას

1. ჯგუფური ოთახის და გარე სივრცის ფიზიკური გარემოს მოწყობა განსახორციელებელი კურიკულუმის შესაბამისია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 30 ივნისის ბრძანება N-206 დამტკიცებული,, საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასების და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის'' წესი.

მე-7 მუხლი არეგულირებს ,,გარემოს ფიზიკურ'' მოწყობას შემდეგნაირად:
1.დაწესებულების ფიზიკური გარემოს მოწყობაში თანაბარწილად ჩართულები არიან დაწესებულების ადმინისტრაცია , საგანმანათლებლო პერსონალი და ეფუძნება ჯგუფის საჭიროებებს.

2.კურიკულუმის განხორციელების პროცესში,ფიზიკური გარემოს ცვლილება ხორციელდება :
ა) ბავშვების ინდივიდუალური საჭიროებებიდან გამომდინარე;
ბ) ინტერესებიდან გამომდინარე;
გ) ბავშვის ინდივიდუალური თავისებურებებიდან გამომდინარე;
დ) დაგეგმილი აქტივობებისა და თამაშების შესაბამისად.

3.დაწესებულება ჯგუფური ოთახისა და გარე სივრცის მოწყობაზე თანაბარწილად ზრუნავს კურიკულუმის საჭიროებების შესაბამისად.

დაწესებულების ფიზიკური გარემოს დათვალიერებისას გამოიკვეთა, რომ აღნიშნულ დაწესებულებაში არ არის სივრცეები, კიბეები, გადასასვლელები მონიშნული მაღალი კონტრასტის მკაფიო მაჩვენებლებით.

დაწესებულებაში ფუნქციონირებს 2 დან 4 წლამდე ასაკის ბავშვთა ჯგუფი, სადაც ამჟამად 17 ბავშვია ჩარიცხული, რაც აღემატება ნორმით განსაზღვრულ მაქსიმალურ რაოდენობას (15ბავშვი). აღნიშნული ფაქტორი ზეგავლენას ახდენს როგორც ბავშვთა ინდივიდუალურ ჩართულობაზე, ისე უსაფრთხოებისა და ხარისხიანი გარემოს უზრუნველყოფაზე.
ფიზიკური გარემო სრულად არ შეესაბამება ასაკობრივი ჯგუფის თავისებურებებს.
ჯგუფში არსებული ავეჯი და მოწყობილობები (მაგალითად, კარადა) არ არის ადაპტირებული ბავშვების ასაკის მიხედვით, არ არის მათთვის ხელმისაწვდომი. ჯგუფის კედლები, აქსესუარები (ფარდა, ხალიჩა)ა ვეჯი-ნეიტრალურ ტონებში უნდა იყოს, რათა ბავშვების ყურადღება მასალებმა მიიქციოს და არა კედლების სიჭრელემ.

საგანმანათლებლო რესურსები მწირია და ვერ უზრუნველყოფს მრავალფეროვან, თამაშზე დაფუძნებულ აქტივობებს, რომლებიც ხელს შეუწყობდა ბავშვების მოტორული, შემოქმედებითი და შემეცნებითი უნარების განვითარებას.

დაწესებულებაში ფუნქციონირებს კიდევ ორი ჯგუფი 4 დან 5 წლამდე და სასკოლო მზაობა 5-6 წლამდე. აღნიშნულ ჯგუფებში ფიზიკური გარემო უკეთეს მდგომარეობაშია.

აღნიშნულ ჯგუფებში უზრუნველყოფილია და ხელმისაწვდომი ავეჯი, მრავალფეროვანი რესურსები, ვიზუალური დღის განრიგი ,,რომლებიც ხელს უწყობს თამაშზე დაფუძნებულ და აქტიურ სწავლებას, თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში რესურსები მოითხოვს განახლებას და დამატებას, რათა ყველა ჯგუფში იყოს თანაბარი შესაძლებლობები.

აღმზრდელებთან ინტერვიუირების დროს გამოიკვეთა, რომ ისინი გეგმავენ მომავალში მშობელთა ჩართულობით მოაწყონ ეზოს საგანმანათლებლო სივრცეები მეორადი რესურსით.

დათვალიერების შედეგად გამოიკვეთა, რომ ეზოს მოწყობაში მონაწილეობას ღებულობს დაწესებულების პერსონალი, მათ მიერ შექმნილი სივრცეებია: საქვიშე, სენსორული ბილიკი, წიგნიერების სივრცე, მუსიკალური სივრცე, მატარებელი, მეორადი საბურავის გამოყენებით ავტომობილი, ასევე ეზოში დაუსრულებელი პატარა ზომის სახლუკა, რომელსაც აღმზრდელები საკუთარი ძალებით აკეთებენ მეორადი მასალის გამოყენებით.
ეზოში განთავსებულია გარკვეული მოძრაობითი აქტივობების ინვენტარი: სასრიალო, ბალანსის აღჭურვილობა, საქანელა, გასაძრომი.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

ინდიკატორის დაკმაყოფილებისთვის დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს:
1.გადაიხედოს ბავშვთა რაოდენობა ჯგუფში და უზრუნველყოფილ იქნეს ნორმით განსაზღვრული მაქსიმუმი (არაუმეტეს15ბავშვი).

2.მოეწყოს გარემო ასაკის შესაბამისად,ავეჯი გახდეს ბავშვებისათვის ხელმისაწვდომი.

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულება ეთანხმება ექსპერტის მიერ იდენტიფიცირებულ ხარვეზს და აღმოჩენილი ხარვეზის აღმოსაფხვრელად,დაწესებულებამ წარმოადგინა შეუსაბამობასთან მიმართებით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა 12 თვის ვადით.დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა მოიცავს შემდეგ აქტივობებს:
1)ჯგუფში ბავშვთა რაოდენობის გადახედვა და ნორმით განსაზღვრული მაქსიმუმის უზრუნველყოფა;
2)ასაკის შესაბამისი, ხელმისაწვდომი გარემოს მოწყობა.

2. დაწესებულების შიდა და გარე სივრცეში საგანმანათლებლო რესურსების ორგანიზება განსახორციელებელი კურიკულუმის შესაბამისია და ბავშვებისთვის ხელმისაწვდომია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმი განსაზღვრავს საგანმანათლებლო რესურსების ორგანიზების სპეციფიკას. გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 30 ივნისის N-206 ბრძანებით დამტკიცებულია ,,საგანმანათლებლო პროცესების დაგეგმვის,შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის'' წესი.
მუხლი 5 არეგულირებს საგანმანათლებლო პროცესის უზრუნველსაყოფად რესურსების განსაზღვრას.
მუხლი 6 არეგულირებს საგანმანათლებლო პროცესის რესურსით უზრუნველყოფის ორგანიზებას.

დაწესებულებაში მოქმედ 2 დან 4 წლამდე მრავალასაკობრივ (შერეული) საგანმანათლებლო ჯგუფში, საგანმანათლებლო რესურსი არ არის ასაკის შესაბამისად შერჩეული.
საგანმანათლებლო რესურსები ჯგუფში მწირია და მოითხოვს გამრავალფეროვნებას.

აღსანიშნავია, რომ 4-5 წლიანთა და სასკოლო მზაობის ჯგუფებში მდგომარეობა უკეთესია , საგანმანათლებლო რესურსი ბავშვებისთვის ხელმისაწვდომია. თითოეული რესურსი მოთავსებულია კონტეინერებში და აქვს ვიზუალური მინიშნება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი არ არის დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

ინდიკატორის დაკმაყოფილებისთვის დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს შემდეგი, გამდიდრდეს საგანმანათლებლო რესურსები, რათა ბავშვებს ჰქონდეთ განვითარების მრავალმხრივი შესაძლებლობები თამაშისა და აქტიური მონაწილეობის გზით.

.....
.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულება ეთანხმება ექსპერტის მიერ იდენტიფიცირებულ ხარვეზს და აღმოჩენილი ხარვეზის აღმოსაფხვრელად, წარმოადგინა შეუსაბამობასთან მიმართებით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა 12 თვის ვადით.დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა მოიცავს შემდეგ აქტივობას:
1.შერეული ასაკობრივი ჯგუფის საგანმანათლებლო რესურსებით გამდიდრება.

აღნიშნულ აქტივობასთან დაკავშირებით ექსპერტის შეფასება შეიცვალა მეტწილ შესაბამისობით.

.....

.....

3. ჯგუფური ოთახები მოწყობილია იმგვარად რომ ბავშვს აქვს აქტიურ და პასიურ, მცირე და დიდ ჯგუფურ აქტივობებში მონაწილეობის, ასევე დასვენებისა და განმარტოების შესაძლებლობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა დოკუმენტის სახით ცენტრის დირექტორის მიერ 2025 წლის 30 ივნისის N-208 ბრძანებით დამტკიცებული ,,ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის'' წესი.
მე-3 მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს ჯგუფური ოთახების რაოდენობის თანაფარდობას ბავშვთა არსებულ/დაგეგმილ რაოდენობასთან.

დაწესებულებაში ფუნქციონირებს 3 ჯგუფი (2-4 წლიანთა, 4-5 წლიანთა, 5-6 წლიანთა), რომელთათვისაც გამოყოფილია დამოუკიდებელი ჯგუფური ოთახები.
ჯგუფური ოთახი, სადაც განთავსებულია მრავალასაკობრივი/შერეული ჯგუფი 2დან 4 წლამდე ბავშვებისთვის, ფიზიკური გარემო მოწყობისას არ არის გათვალისწინებული ასაკი.
ჯგუფში არ არის სივრცე, სადავ ბავშვები შეძლებენ თავისუფლად იკვლიონ და შეიმეცნონ გარემო და აღმზრდელის მიერ მომზადებული რესურსი.
ბავშვებისთვის არ არის მრავალფეროვანი გამოცდილებების მისაღებად მოწყობილი სივრცეები , სადაც 2 დან 4 წლამდე ბავშვები ითამაშებენ მათთვის მოწყობილ დრამატული თამაშების სივრცეში. ასევე, არ არის სასურველი რესურსებით აღჭურვილი კვლევის სივრცე.

რაც შეეხება 4-5 წლიანთა და 5-6 წლიანთა ბავშვების ჯგუფური ოთახების მოწყობას, უნდა აღინიშნოს, რომ განსხვავებულია 2-4 წლიანთა ჯგუფური ოთახის მოწყობისგან. ორივე ასაკობრივ ჯგუფში ოთახები დაყოფილია ცენტრებად, სადაც სივრცეები მოწყობილია აქტიურუ და პასიური თამაშებისთვის. ორივე ასაკობრივ ჯგუფში გამოყოფილია წყნარი სივრცე, მოწყობილი ხალიჩითა და პატარა ზომის ბალიშებით. წყნარი სივრცის მოწყობა ითვალისწინებს ბავშვთა სხვადასხვა აქტივობებში ჩართვას, მათ შორის წიგნებთან უშუალო კონტაქტს, დათვალიერებას, ნანახის გააზრებას.
ჯგუფებში აგრეთვე მოწყობილია ხელოვნების, სამაგიდო თამაშებისა და კუბურების სივრცეები. თითოეული მათგანი იძლევა საშუალებას ბავშვმა ითამაშოს როგორც ინდივიდუალურად, ასევე, ორ ან მეტ ბავშვთან, ერთობლივად ჩაერთოს სხვადასხვა აქტივობებში.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

.....

.....

რეკომენდაცია

ინდიკატორის დაკმაყოფილებისთვის დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს შემდეგი:
შერეული ასაკობრვი ჯგუფის სპეციფიკა.
მოაწყოს და აღჭურვოს ცენტრები მრვალასაკობრივი/შერეული ჯგუფში შესაბამისი ავეჯით, სადაც გათვალისწინებული იქნება 4.3 კომპონენტის მოთხოვნები, ბავშვის სიმაღლე.
უზრუნველყოს ცენტრების მოსაწყობად ასაკის შესაბამისი რესურსებით მომარაგება.

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულება ეთანხმება ექსპერტის მიერ იდენტიფიცირებულ ხარვეზს და აღმოჩენილი ხარვეზის აღმოსაფხვრელად, წარმოადგინა შეუსაბამობასთან მიმართებით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა 12 თვის ვადით.დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა მოიცავს შემდეგ აქტივობებს:
1)შერეული ასაკობრივი ჯგუფის სპეციფიკის გათვალისწინება;
2)ცენტრების აღჭურვა და მოწყობა ამ ჯგუფის შესაბამისი ავეჯით;

3)ცენტრების მოსაწყობად ასაკის შესაბამისი რესურსებით მომარაგება.
აღნიშნულ აქტივობებთან დაკავშირებით ექსპერტის შეფასება შეიცვალა მეტწილ შესაბამისობით.

2.2.4. დაწესებულებაში მოქმედებს ბავშვზე დაკვირვების და შეფასების პრაქტიკა

1. საგანმანათლებლო პერსონალი თანმიმდევრულად იყენებს ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების მრავალფეროვან მეთოდებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა ცენტრის დირექტორის მიერ 2025 წლის 30 ივნისის ბრძანება N-206 დამტკიცებილი,, საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასების და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“, რომლის მე-8 მუხლით განსაზღვრულია ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების მეთოდები;
1.ობიექტური ჩანაწერები,
2.ჩეკლისტები.

დაწესებულებამ წარმოადგინა გაერთიანების დირექტორის მიერ 2025 წლის 25 აგვისტოს N-275 ბრძანებით დამტკიცებული ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების ფორმები.
დამტკიცებული ფორმები საგანმანათლებლო პერსონალმა უნდა შეავსოს წელიწადში ორჯერ.
ინტერვიუირების დროს გამოვლინდა , რომ აღმზრდელები იცნობენ ზემოთ აღნიშნულ დაკვირვებისა და შეფასების მეთოდებს, ობიექტურ ჩანაწერებს და ჩეკლისტებს, საუბრობენ მათი წარმოების მნიშვნელობაზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია
.....
.....
რჩევა
.....
.....
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
.....
.....

2. შეფასება ემსახურება თითოეული ბავშვის ინტერესების, საჭიროებების, პროგრესის გამოვლენას განვითარების ყველა სფეროში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა გაერთიანების დირექტორის მიერ 2025 წლის 25 აგვისტოს N-206 ბრძანება ,,საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასების და რესურსების შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“-ს დამტკიცების შესახებ.

დოკუმენტის თანახმად საგანმანათლებლო პერსონალი გამოიყენებს ბავშვის შეფასების შემდეგ მეთოდებს:
1.ობიექტური დაკვირვების ჩანაწერები;
2.ჩეკლისტები.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების ფორმები გაერთიანების დირექტორის მიერ დამტკიცებულია 2025 წლის 25 აგვისტოს N-275 ბრძანებით.

დაწესებულების მიერ შემუშავებული ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების სისტემა უზრუნველყოფს:
ა) ბავშვის ინტერესების გამოვლენას;
ბ) ბავშვის პროგრესის დანახვას განვითარების ყველა სფეროშიო;
გ) ოჯახის ჩართულობას ბავშვის შეფასების პროცესში.

წესის მე-10 მუხლში იკითხება პორტფოლიოს წარმოების წესი.
დოკუმენტის თანახმად ბავშვის ინდივიდუალური პორტფოლიო მოიცავს შემდეგ ნაწილებს:
1.ბავშვის დაკვირვების ჩანაწერები;
2.ბავშვის შეფასების ჩანაწერები;
3.ბავშვის ნამუშევრები სხვადასხვა თამაშის და აქტივობის დროს.

საგანმანათლებლო პერსონალთან ინტერვიუირების შედეგად მიღებული ინფორმაციით, მათ გააზრებული აქვთ ყველა ბავშვისთვის ინდივიდუალური პორტფოლიოს წარმოების აუცილებლობა. დაწესებულებას/გაერთიანებას დადგენილი აქვს პორტფოლიოს წარმოების ფორმა, შენახვის ვადა და მისი გაცემის წესი.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....
.....

რჩევა

.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....

3. შეფასების შედეგები გამოყენებულია საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისთვის/მოდიფიცირებისთვის

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ დოკუმენტის სახით წარმოადგინა გაერთიანების დირექტორის მიერ 2025 წლის 30 ივნისის N-206 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“.

დოკუმენტის თანახმად დაწესებულება ბავშვის შეფასებას განახორციელებს წელიწადში ორჯერ.

ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების შედეგების ანალიზისა და გამოვლენილი საჭიროებებზე რეაგირება განხორციელდება:
ა) მოკლევადიანი გეგმების შედგენა/კორექტირების გზით;
ბ) გრძელვადიანი გეგმების შედგენა /კორექტირების გზით;
გ) საგანმანათლებლო რესურსების განსაზღვრის დროს;
დ) დაწესებულების სამოქმედო გეგმის შედგენის დროს.
საგანმანათლებლო პერსონალი ბავშვის შეფასებისთვის გამოიყენებს ბავშვის პორტფოლიოებს, სადაც განსაზღვრული იქნება ბავშვის დაკვირვების ჩანაწერები, ბავშვის შეფასების ჩანაწერები, ბავშვის ნამუშევრები სხვადასხვა თამაშის და აქტივობის დროს.

საგანმანათლებლო პერსონალთან ინტერვიუირების შედეგად მიღებული ინფორმაციით გამოვლინდა, რომ მათ გააზრებული აქვთ შეფასების შედეგები, რაც გამოყენებული იქნება საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისთვის და აისახება მოკლევადიან და გრძელვადიან გეგმებში. შესაბამისად აქტივობები და თემები შედეგებზე დაყრდნობით შეირჩევა ცვლილებების შეტანა მასში ყოველთვის შეიძლება და ეს ცვლილება აღწერილი იქნება აღმზრდელის რეფლექსიაში.
აღმზრდელები საუბრობენ რას უნდა ითვალისწინებდეს ინდივიდუალიზაცია, ის შეიძლება მოიცავდეს კონკრეტულ საჭიროებებსა და ინტერესებს, ინდივიდუალურ თამაშებს და სტრატეგიებს ასევე მცირე და დიდ ჯგუფებში მუშაობას.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

.....
.....

რეკომენდაცია

.....
.....

რჩევა

.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....

4. ბავშვის შეფასების პროცესი ითვალისწინებს ოჯახის ჩართულობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ დოკუმენტის სახით წარმოადგინა გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 30 ივნისის №206 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“, რომლის მე-2 მუხლის ,,დ'' ქვეპუნქტი განსაზღვრავს ბავშვის რეგულარულ შეფასებას დაკვირვების და ოჯახის ჩართულობის საფუძველზე.
მე-8 მუხლის მე-5 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი განსაზღვრავს ოჯახის ჩართულობას ბავშვის შეფასების პროცესში.
მე-8 მუხლის მე-7 პუნქტით განისაზღვრება,რომ ბავშვის შეფასებას ახორციელებს აღმზრდელი/აღმზრდელ-პედაგოგი და მასში ჩართული ბავშვთან მომუშავე სხვა საგანმანათლებლო პერსონალი, ოჯახის ჩართულობით.

მე-9 მუხლის პუნქტი 1 განსაზღვრავს დაწესებულების მხრიდან ბავშვის შეფასების შედეგების მშობლისთვის/კანონიერი წარმომადგენლისთვის გაცნობის უზრუნველყოფას.

მე-9 მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს ბავშვის შეფასების შედეგების განხილვას ბავშვის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან, რომელიც განხორციელდება ინდივიდუალურად.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. უფლებამოსილი პირის მიერ დამტკიცებული 2025წლის 30 ივნისის N-206 ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის,,შეფასების და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი.
2. . უფლებამოსილი პირის მიერ დამტკიცებული დღის განრიგი, დამტკიცებული 2024 წლის 13 სექტემბრის ბრძანება N-333.
3. უფლებამოსილი პირის მიერ დამტკიცებული გრძელვადიანი და მოკლევადიანი გეგმები, დამტკიცებული 2025 წლის 25 აგვისტოს N-273 ბრძანებით.

4.ინტერვიუირების შედეგი.

5.დაკვირვების ფორმები, დამტკიცებული გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 25 აგვისტოს N-273 ბრძანებით.

6.ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესი (2025 წლის 30 ივნისის ბრძანება N-208).

7.საგანმანათლებლო რესურსების ნუსხა (2025 წლის 25 აგვისტო N-274 ბრძანება).

შეფასება:			
2.2. კურიკულუმის განხორციელება			
შეესაბამება ☐	მეტწილად შეესაბამება ☒	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება

2.3.1. დაწესებულებას აქვს კურიკულუმის შეფასებისა და განვითარების პრაქტიკა

1. დაწესებულებაში მოქმედებს კურიკულუმის შეფასების პრაქტიკა, რომელიც ეფუძნება საგანმანათლებლო პროცესისა და ფიზიკური გარემოს შეფასებას, უკუკავშირს მშობლებისგან/კანონიერი წარმომადგენლისგან და საგანმანათლებლო პერსონალის თვითრეფლექსიას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა ხობის გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 30 ივნისის №- 205 ბრძანებით დამტკიცებული „კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესი“, რომელიც უზრუნველყოფს ხარისხის ციკლის დაცვას, მოცემულ ეტაპზე დოკუმენტის თანახმად კურიკულუმის შეფასება განხორციელდება 3 წელიწადში ერთხელ.

დაწესებულებას დაგეგმილი აქვს კურიკულუმის განხორციელების პროცესი, თუმცა ვინაიდან ამჟამად არ მიმდინარეობს სასწავლო-სააღმზრდელო პროცესი, დაწესებულება ვერ განახორციელებს კურიკულუმის შეფასაბას და მით უფრო ვერ შეძლებს მის გაუმჯობესებასთან დაკავშირებულ აქტივობების შესრულებას.

ამ წესის მე-5 მუხლი განსაზღვრავს კურიკულუმის შეფასებას და განვითარებას.

კურიკულუმის შეფასების მიზანია დაწესებულებამ დაადგინოს, რამდენად ეფექტიანად ინერგება კურიკულუმის სხვადასხვა კომპონენტი და რამდენად მიიღწევა კურიკულუმით განსაზღვრული მიზანი.

კურიკულუმის შეფასებისთვის გაერთიანების დირექტორის ბრძანებით შეიქმნება სამუშაო ჯგუფი.
კურიკულუმის შეფასების პროცესი დაეფუძნება:
ა) საგანმანათლებლო პროცესის შეფასებას;
ბ) ფიზიკური გარემოს შეფასება;
გ) მშობლების უკუკავშირს;
დ) საგანმანათლებლო პერსონალის თვითრეფლექსია.

დაწესებულებას ამ ეტაპზე არ გააჩნია კურიკულუმის განხორციელების პრაქტიკა, სწორედ ამიტომ აუცილებელია პოცესის განხილვა ხარისხის ციკლის ჭრილში, სადაც განსაზღვრული იქნება დაგეგმვა,განხორციელება,შეფასება და გაუმჯობესება. დაწესებულების პერსონალი საუბრობს ხარისის ციკლზე და ის მომავალში გეგმავს შეიმუშავოს მექანიზმი რომლელიც განსაზღვრავს კურიკულუმის პერიოდულ შეფასებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

.....
.....

რეკომენდაცია

.....
.....

რჩევა

.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....

2. დაწესებულება აანალიზებს შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში, ახორციელებს ცვლილებებს კურიკულუმში

დიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა გაერთიანების დირექტორის მიერ 2025 წლის 30 ივნისის N-205 ბრძანებით დამტკიცებული ,,კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასების და განვითარების მარეგულირებელი წესი“, რომლის მუხლი 5 არეგულირებს კურიკულუმის შეფასებისა და განვითარების პროცე.

კურიკულუმის შეფასების მიზანია დაწესებულებამ დაადგინოს თუ რამდენად ეფექტურად ინერგება კურიკულუმის სხვადასხვა კომპონენტი და რამდენად მიიღწევა კურიკულუმით განსაზღვრული მიზნები.

წესის მე-5მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს კურუკულუმების შეფასებას 3 წელიწადში ერთხელ, ხოლო მე-6 მუხლის თანახმად , კურიკულუმებში ცვლილებების შეტანა და განვითარება განხორციელება.

კურიკულუმში ცვლილების განხორციელების საფუძველია კურიკულუმის შეფასების საფუძველზე გაკეთებული მიგნებები ან/და რეკომენდაციები.
კურიკულუმში განხორციელებული ცვლილებები შეიძლება იყოს მაშტაბური ან წერტილოვანი.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია
.....
.....
რჩევა
.....
.....
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
.....
.....

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
1. .უფლებამოსილი პირის მიერ დამტკიცებული კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების,შეფასების და განვითრების მარეგულირებელი დოკუმენტი (2025წლის 30 ივნისის ბრძანება N205).
2.ინტერვიუირების შედეგი.

შეფასება:			
2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება			
შეესაბამება ☒	მეტწილად შეესაბამება ☐	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

3. ოჯახისა და თემის ჩართულობა

3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა

3.1.1. დაწესებულება ღიაა ოჯახთან და თემთან თანამშრომლობისთვის

1. დაწესებულება მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან და თემთან თანამშრომლობისთვის წინასწარ გეგმავს აქტივობებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანების“ დირექტორის 2025 წლის 11 ივლისის NN-227 ბრძანებით დამტკიცებული ,,საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი“.

დაწესებულებას/გაერთიანებას განსაზღვრული აქვს მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან და თემთან თანამშრომლობის პროცესი და საკომუნიკაციო აუდიტორიის შერჩევის პრინციპები.

წესის მე-2 მუხლის შესაბამისად დაწესებულების მიერ ,,საკომუნიკაციო გეგმის'' შემუშავების პროცესი შედგება შემდეგი ეტაპებისაგან:

ა)სამიზნე აუდიტორიის განსაზღვრა;
ბ)საკომუნიკაციო არხების შერჩევა;
გ) საკომუნიკაციო აქტივობების დაგეგმვა;
დ) კომუნიკაციასთან დაკავშირებული პასუხიმგებლობების გადანაწილება;
ე) განხორციელებული კომუნიკაციის შეფასების მექანიზმის განსაზღვრა;
ვ) კრიზისულ სიტუაციებში კომუნიკაციის მექანიზმების განსაზღვრა.

წესის მე-3 მუხლის მიხედვით გაერთიანების სამიზნე აუდიტორია იყოფა შიდა და გარე აუდიტორიად.
შიდა აუდიტორიას განეკუთვნება: გაერთიანების ადმინისტრაცია, გაერთიანების სტრუქტურული ერთეულების ადმინისტრაცია, საგანმანათლებლო პერსონალი, დამხმარე პერსონალი.
გარე აუდიტორიას განეკუთვნება: მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი, ადგილობრივი საზოგადოების/თემის წარმომადგენლები, სფეროში მოღვაწე კოლეგები, მუნიციპალიტეტის მერია.

დაწესებულებას აღნიშნული წესის მიხედვით შემუშავებული აქვს ,,საკომუნიკაციო გეგმა'', რომელიც შედგება შემდეგი კომპონენტებისგან:
ა) ღონისძიებების/აქტივობების დასახელება;
ბ) სამიზნე აუდიტორია;
გ) განსახორციელებელი თვეები და პასუხისმგებელი პირები.

დაწესებულებამ წარმოადგინა გაერთიანების დირექტორის მიერ 2025 წლის 30 ივნისის N-205 ბრძანებით დამტკიცებული ,,კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესი.“

აღნიშნული დოკუმენტი განსაზღვრავს ბავშვის მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების სხვადასხვა აქტივობაში ჩართულობას.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

2. დაწესებულება წაახალისებს თემის და მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების ჩართულობას კურიკულუმის ფარგლებში დაწესებულების შიგნით/გარეთ განხორციელებულ ღონისძიებებში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება გეგმავს კურიკულუმის ფარგლებში განსახროციელებელ ღონისძიებებს. ის სამიზნე აუდიტორიას გააცნობს საკომუნიკაციო გეგმით განსაზღვრულ აქტივობებს და მათი განხორციელებისთვის დადგენილ ვადებს. ასევე, უზრუნველყოფს კურიუკულუმით განსაზღვრულ აქტივობებსა თუ კურიკულუმის შეფასებაში მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა და თემის წარმომადგენლების ჩართულობას.
დაწესებულება/გაერთიანება წაახალისებას დაინტერესებულ პირებს სხვადასხვა ხერხის გამოყენებით.

მოსაზრებების დადგენის საშუალებებად გამოყენებული იქნება:
ა) კითხვარები;
ბ) ღია შეხვედრები.

მშობლებსა და თემის წარმომადგენლებთან კურიკულუმის ფარგლებში განახორციელებს აქტივობებს.
წასახალისებლად საბავშვო ბაღი გამოიყენებს შემდეგ ღონისძიებებს:
ა) სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულ თემებში მშობლების/თემის წარმომადგენლის ჩართულობას.

ბ) საბავშვო ბაღის მიერ დაგეგმილ ღონისძიებებში მშობლებისა და თემის წარმომადგენლის თანამონაწილეობას.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

3. დაწესებულება მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან და თემთან ურთიერთობისას იყენებს კომუნიკაციის მრავალფეროვან მეთოდებს და არხებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა ხობის სკოლამდელი გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 11 ივლისის NNN -227 ბრძანებით დამტკიცებული ,,საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი“, რომლის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად საკომუნიკაციო საშუალებებად/არხებად გამოყენებულიქნება:

ა) პირისპირ შეხვედრები;
ბ) საინფორმაციო დაფები;
გ) მოკლე ტექსტური შეტყობინებები;
დ) სატელეფონო ზარები;
ე)ელექტრონული ფოსტა;
ვ) სოციალური მედიის პლატფორმა-ფეისბუქი.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. უფლებამოსილი პირის მიერ დამტკიცებული საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი დამტკიცებული ცენტრის დირექტორის მიერ 2025 წლის 11 ივლისი N-227 ბრძანებით.
2.საკომუნიკაციო გეგმა წარმოდგენილი დანართი.
3.ინტერვიუირების შედეგი.

შეფასება:			
3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა			
შეესაბამება ☒	მეტწილად შეესაბამება ☐	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება

3.2.1. დაწესებულება მიზნობრივად წარმართავს ოჯახთან და თემთან ურთიერთობას

1. დაწესებულება უზრუნველყოფს მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა ცნობიერების ამაღლებას სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით, მათ შორის, ბავშვთა უფლებების, ადრეული ასაკის ბავშვების ასაკობრივი თავისებურებებისა და განვითარების სპეციფიკასთან დაკავშირებით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების პერსონალთან ინტერვიუირების დროდ გამოიკვეთა, რომ მათ გააზრებული აქვთ ცნობიერების ასამაღლებლად ჩაატარონ საინფორმაციო შეხვედრები ოჯახთან/კანონიერ წარმომადგენელთან სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით. ისინი მომავალში გეგმავენ აქტივობას, სადაც გააცნობენ მშობლებს ბავშვთა უფლებებს, ადრეული ასაკის ბავშვის ასაკობრივი თავისებურებებისა და განვითარების სპეციფიკას. ასევე, დაგეგმილია ბავშვების პორტფოლიოს გაცნობა.
შესაბამისი თემები და აქტივობები გაწერილია სამოქმედო გეგმაში. მშობელთა/კანონიერ წარმომადგენლებთან ცნობიერების ამაღლებისათვის დაწესებულება გამოიყენებს მის მიერ შექმნილი საკონსულტაციო საბჭოსთან თანამშრომლობის მეთოდს..

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია
.....
.....
რჩევა
.....
.....
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
.....
.....

2. მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები ინფორმირებული არიან ბავშვების შეფასების შედეგების შესახებ

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტი, სკოლამდელის სააღმზრდელო გაერთიანების“ დირექტორის 2025 წლის 30 ივნისის №206 ბრძანებით
დამტკიცებული,, საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის“ მე-8
და მე-9 მუხლები არეგულირეს ინდიკატორის მოთხოვნას, საგანმანათლებლო პერსონალი პერიოდულად მშობლებს/კანონიერი წარმომადგენლებს გაუზიარებენ ბავშვზე
დაკვირვების შედეგად შეგროვებულ ინფორმაციას და შეფასების შედეგებს. შეფასების შედეგების გაცნობა წესიდან გამომდინარე მოხდება ინდივიდუალურად.
აღმზრდელი მშობელს გაუზიარებს ბავშვის პორტფლიოში თავმოყრილ დაკვირვების ჩანაწერებს, ბავშვის განვითარების სტანდარტის შესაბამის

შეფასებებს და ნამუშევრებს, რომელშიც კარგად ჩანს ბავშვის სხვადასხვა უნარის განვითარება. მიიღებს უკუკავშირს და გაითვალისწინებს სამომავლო აქტივობებში მშობლის თანადგომას.
ინტერვიუირებიდან გამოიკვეთა, რომ დაწესებულება მშობელს ბავშვის შეფასების შედეგების შესახებ ინფორმაციას მიაწვდის შემდეგი მეთოდებით:
ა) ინდივიდუალური რეჟიმი;
ბ) სენდვიჩის მეთოდი.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია
.....
.....
რჩევა
.....
.....
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
.....
.....

3. დაწესებულება იყენებს თემში არსებულ რესურსებს კურიკულუმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელებისას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების პერსონალთან ინტერვიუირების დროს გამოიკვეთა,ისინი გაერთიანების მიერ შერჩეული კურიკულუმით განსაზღვრული აქტივობების განსახორციელებლად გამოიყენებენ თემში არსებულ სხვადასხვა რესურსს. მაგალითად, საგანმანათლებლო პერსონალი გეგმავს თემატურ აქტივობებს თემში არსებული რესურსის გამოყენებას.ინტერვიუირებიდან გამოიკვეთა, რომ ისინი დაგეგმავენ
და მოიწვევს სტუმრად ბაღში, თემში დასაქმებულ პირებს.
ბავშვის სკოლაში ტრანზიციისათვის გამოიენებენ სოფელში არსებულ სკოლას, ასევე დაწესებულებას წინასწარ აქვს გათვლილი პროექტები: ბიბლიოთეკა, სკოლა, მუზეუმი.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია
.....
.....

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

სასურველია დაწესებულებამ გაითვალისწინოს რჩევა და თემთან გააფორმოს მემორანდუმი, რათა დოკუმენტალურად გაამყაროს ურთიერთობა დაწესებულებასა და თემს შორის.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

4. დაწესებულება აფასებს ოჯახთან/თემთან განხორციელებულ აქტივობებს და საჭიროების შემთხვევაში, ახორციელებს შესაბამის ცვლილებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა დოკუმენტი,, საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი''
მუხლი 6 არეგულირებს განხორციელებული კომუნიკაციის შეფასების მექანიზმის განსაზღვრას, სადავ უკუკავშირისთვის დაწესებულება გამოიყენებს შემდეგ მექანიზმს:
ა) კითხვარები,
ბ)ღია შეხვედრები.
ინტერვიუირებიდან გამოიკვეთა, რომ დაწესებულება კონკრეტულ შემთხვევებში იმუშავებს აქტივობების გაუმჯობესებაზე. მაგალითად, აქტივობების შეფასების შემდეგ დაწესებულება გაანალიზებს შედეგებს, საჭიროების შემთხვევაში შეიტანს ცვლილებებს ოჯახთან/თემთან თანამშრომლობის გეგმაში.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1.,აა)იპ ხობის მუნიციპალიტეტრის სკოლამდელი სააღმზრდელო და,საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის შეფასების და რესურსებით უზრუნველყოფის წესი'' 2025 წლის 30 ივნისის ბრძანებაNN-206

2.,,საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი'' 2025ელი 11 ივლისი ბრძანებაNN- 227..

3.ინტერვიუირების შედეგი.

4.საკომუნიკაციო გეგმის შაბლონი დანართი -1

შეფასება:			
3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება			
შეესაბამება ☒	მეტწილად შეესაბამება ☐	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

4. სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესის მხარდაჭერა[4]

[4] აღნიშნული სტანდარტის შეფასებისას გაითვალისწინეთ დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თითოეული პროგრამის სახის/კურიკულუმის სპეციფიკა და დამატებით წარმოადგინეთ მათი შეფასების შესახებ ინფორმაცია (ასეთი საჭიროების შემთხვევაში).

4.1. პერსონალის მართვა და განვითარება

4.1.1. დაწესებულების ორგანიზაციული მოწყობა და პერსონალის კვალიფიკაცია უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. დაწესებულება დაკომპლექტებულია პერსონალით, რომელიც უზრუნველყოფს დაწესებულების მდგრად ფუნქციონირებას და ითვალისწინებს ბავშვთა ინდივიდუალურ საჭიროებებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებლის მიერ წარმოდგენილია დაწესებულების ორგანოგრამა, სადაც ასახულია დაწესებულებაში დასაქმებული პირების დაქვემდებარება, კავშირი. თითოეული პირი შესაბამისი პროცესის მფლობელად არის განსაზღვრული, რომელიც მონაწილეობას მიიღებს ბაღის ფუნქციონირების პროცესში.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ორგანოგრამითა და ინტერვიურების მეთოდის გამოყენებით დადგინდა, რომ დაწესებულებას არ ჰყავს მდგრადობის უზრუნველყოფისთვის საკმარისი პერსონალი. კერძოდ, ორ ჯგუფში, რომელიც მოემსახურება 2-4 წლიანთა და 4-5 წლიანთა ბავშვების ასაკით დაკომპელქტებულ ჯგუფებს, სრულ განაკვეთზე გათვალისწინებულია 1-1 საგანმანათლებლო პერსონალი, საშტატო ნუსხით გათვალისწინებული „აღმზრდელ-მასწავლებელი"; 5-6 წლიანთა ჯგუფში გათვალისინებული „აღმზრდელ-მასწავლებლის" რაოდენობა კი შეადგენს 2. თითოეული „აღმზრდელ-მასწავლებლის" სამუშაო დატვირთვა განსაზღვრულია სრული განაკვეთით.

დაწესებულების სამ ასაკობროვ ჯგუფში, რომელთაგან ერთი მრავალასაკობრივია (2-4 წლიანთა), განსაზღვრულია სამი აღმზრდელის თანაშემწე, რაც იმას ნიშნავს, რომ თითოეული ჯგუფის აღსაზრდელებს საგანმანათლებლო პერსონალის სახით მომსახურებას გაუწევს ერთი აღმზრდელის თანაშემწე, რომელიც უფლებამოსილია „აღმზრდელ-მასწავლებლის" არყოფნის შემთხვევაში შეასრულოს მისი ფუნქცია-მოვალეობები. აღმზრდელის თანაშემწის სამუშაო დღის ხანგრძლივობა დადგენილია 09.00-14.00 სთ დროის მონაკვეთით. მისი სამუშაო დროის დასრულების შემდეგ ჯგუფში პროცესებს წარუძღვება მხოლოდ ერთი საგანამანათლებლო პერსონალი-„აღმზრდელ-მასწავლებელი".

დაწესებულების მუსიკის მასწავლებლის სამუშაო დრო ყოველდღიურად განსაზღვრულია 09.00სთ-დან 18.00სთ-მდე. მუსიკის მასწავლებლის ვალდებულებად დადგენილია „აღმზრდელ-მასწავლებლის" არყოფნის პერიოდში მისი შეცვლა. დოკუმენტით არ არის განსაზღვრული მისი ჯგუფში მუშაობის დრო და ხანგრძლივობა. ის არ მიიღებს მონაწილეობას მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმების შედგენაში, არ იქნება ჩართული საგანმანათლებლო პროცესის წარმართვაში.

სამივე ასაკობრივ ჯგუფს მომსახურებას გაუწევს 1-1 აღმზრდელის დამხმარე, რომლის უფლება-მოვალეობების გაცნობის შედეგად გაირკვა, რომ ის პასუხისმგებელია მხოლოდ ჯგუფის სისუფთავესა და დალაგებაზე. აღმზრდელის დამხმარის სამუშაო დრო იწყება 14.00სთ-ზე და სრულდება 18.00სთზე.

მრავალასაკობრივ ჯგუფში სრული განაკვეთით განსაზღვრული უფლება-მოვალეობების შესრულებას დაიწყებს ძიძა-სანიტარი, რომელიც პასუხიმგებელი იქნება ბავშვთა მოვლასა და სანიტარულ-ჰიგიენის ნორმების დაცვაზე.

დაწესებულებას ჰყავს მეთოდისტი, რომელიც „მეთოდისტის უფლება-მოვალეობები“-ს მე-11-ე პუნქტით განსაზღვრული მოვალეობით ვალდებულია ე.წ. „აღმზრდელ-მასწავლებლის“ არყოფნის შემთხვევაში ჯგუფში განახორციელოს სასწავლო-სააღმზრდელო პროცესი.

დაწესებულებას განსაზღვრული აქვს მხოლოდ ერთი დამლაგებლის შტატი. ის პასუხიმგებელია როგორც შიდა სივრცის, ასევე ბაღის მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავებაზე და სამუშაო დრო შემოიფარგლება 09.00-14.00სთ.-მდე სამუშაო დროის მონაკევთით.

დაწესებულების ფსიგოლოგმა წარმოადგინა ინდივიდუალური გეგმის შაბლონი. ინტერვიუირების შედეგად დადგინდა, რომ ფსიქოლოგი გაითვალისწინებს ინკლუზიური განათლების ძირითად პრინციპებს, აღსაზრდელთა სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროებებს.

დაწესებულება ითვალისწინებს მზარეულის შტატს სრულ განაკვეთით, ხოლო მზარეულის თანაშემწის შტატს არასრული განაკვეთით-09.00სთ-დან 14.00სთ-მდე. შესაბამისად, კვების უზრუნველყოფაზე პასუხიმგებელი პირი (მზარეული) ვალდებულია 14.00სთ-დან მარტომ წარმართოს პროცესი.

დაწესებულების ორგანოგრამაში ასევე ასახულია მნე, ექთანი, ტექნიკოსი და დამლაგებელი.

დაწესებულებას/გაერთიანებას უფლებამოსილი პირის მიერ საქართველოს კანონის „პერსონალურ მონაცემტა დაცვის შესახებ“ შესაბამისად 2024 წლის 31 მაისის N223 ბრძანების საფუძველზე გაერთიანების იურისტს 2024 წლის 1 ივნისიდან დამატებით დაეკისრა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრისთვის განსაზღვრული ფუნქცია.

ყველა პერსონალის ფუნქცია-მოვალეობა დამტკიცებულია გაერთიანების დირექტორის 2024 წლის 16 სექტემბრის N-345 ბრძანებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე **ინდიკატორი არ არის დაკმაყოფილებული.**

რეკომენდაცია

ინდიკატორის დაკმაყოფილებისთვის დაწესებულებამ გაითვალისწინოს და უზრუნველყოს:

ა.) კანონმდებლობით განსაზღვრული საჭირო საგანმანათლებლო პერსონალის საკმარისი რაოდენობა;
ბ.) შენობის შიდა და გარე სივრცის სან.ჰიგიენური ნორმების დაცვის მიზნით დასუფთავებაზე პასუხიმგებელი პირის რიცხოვნობის გაზრდა;
გ.)კვებაში ბავშვთა უსაფრთხოება, რაც პირდაპირკავშირშია პერსონალის რაოდენობასთან;
დ.)სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვის მომსახურება შესაბამისი განათლების მქონე კადრით;
ე.)მიმდინარე პროცესებიდან გამომდინარე დაწესებულების ყველა საჭირო პერსონალით ჯეროვნად დაკომპლექტება, რომელიც ხელს შეუწყობს ორგანიზაციის მდგრადობას.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულება გაეცნო ექსპერტის მიერ იდენტიფიცირებულ შეუსაბამობებს, რეკომენდაციებს, სრულად გაიზიარა თითოეული მათგანი და წარმოადგინა მის მიერ შეუსაბამობების აღმოფხვრის მიზნით დადგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის 12თვიანი გეგმა, რომელიც ხელს შეუწყობს გეგმაში განსაზღვრულ პერიოდში შეუსაბამობების სრულად აღმოფხვრას.
აღნიშნული გეგმით დაგეგმილია შემდეგი აქტივობები:

„1.ადამიანური რესურსის რაოდენობის დადგენა;
2. საშტატო ნუსხის და თანამდებობრივი სარგოს შემუშავება
3. უფლებამოსილ ორგანოში გადაგზავნა და შეთანხმება;
4.პოზიციებზე შესაბამისი განცხადებების მიღება;
5.კანდიდატების შერჩევა;
6. პერსონალურ მონაცემთა ოფიცრის ფუნქციის შეთავსება/მოწვევა თანამშრომლისთვის, რომელიც ინტერესთა კონფლიქტში არ იქნება სამსახურეობრივ ვალდებულებასთან მიმართებაში.“

ყოველივე ზემოხსენებულის გათვალისწინებით ექსპერტის შეფასება იცვლება.
აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა **მეტწილად არის დაკმაყოფილებული.**
.....
.....

2. დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას/გაერთიანებას ინდიკატორის დასაკმაყოფილებლად ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანება“-ს (შემდგომში-„გაერთიანება“) დირექტორის 2024 წლის 16 სექტემბრის N-345 ბრძანებით განსაზღვრული აქვს თანამშრომელთა უფლება-მოვალეობები, თანამდებობრივი ინსტრუქციები. აღნიშნული დოკუმენტი წარმოდგენილია დანართის (32 ფურცელი) სახით და არის შრომის შინაგანაწესის განუყოფელი ნაწილი.

დაწესებულებას/გაერთიანებას შექმნილი აქვს „პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი“ (შემდგომში-„დოკუმენტი“), რომელიც 2025 წლის 03 ივლისის N-215 ბრძანებით დამტკიცებულია გაერთიანების დირექტორის მიერ. დოკუმენტის მე-7-ე მუხლში („სამუშაოს აღწერილობა“) ვკითხულობთ, რომ:

1. დაწესებულება უზრუნველყოფს იერარქიული სტრუტურისა და თითოეული თანამშრომლის მიერ შესასრულებელი ფუნქციების მკაფიოობას. ამ მიზნით, შემუშავებულია სამუშაო აღწერილობა დაწესებულებაში არსებული თითოეული პოზიციისთვის. სამუშაო აღწერილობის დანართი დამტკიცებულია შინაგანაწესის დანართით.
2. სამუშაო აღწერილობის დოკუმენტი მოიცავს შემდეგ საკვანძო ინფორმაციას:
   2.1. თანამდებობის/პოზიციის დასახელება;
   2.2. შესასრულებელი დავალებები (ფუნქციები) და პასუხისმგებლობები
   2.3. ანგარიშვალდებულება და ვინ ითავსებს ფუნქციას არ ყოფნის პერიოოდში;
3. სამუშაო აღწერილობის დოკუმენტი ხელმისაწვდომია ყველა თანამშრომლისთვის, მათთვის ნათელია შესასრულებელი ამოცანები და როლები.
4. სამუშაო აღწერილობის გადახედვა ხორციელდება პერიოდულად, დაწესებულებაში მიმდინარე პროცესის ცვლილებიდან გამომდინარე.

მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულებას/გაერთიანებას დოკუმენტით ფუნქციების მკაფიოდ განსაზღვრის მიზნით დადგენილი აქვს „სამუშაო აღწერილობა“-ს დოკუმენტის არსებობის აუცილებლობა, არ აქვს წარმოდგენილი სამუშაო აღწერილობის ფორმა.

დაწესებულებას მტკიცებულების სახით არ აქვს წარმოდგენილი პერსონალისთვის ფუნქციების, დატვირთვის გაცნობის ფაქტის დამადასტურებელი დოკუმენტი.

აღნიშნულიდან გამომდინარე **ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.**

რეკომენდაცია

ინდიკატორის დაკმაყოფილებისთვის დაწესებულებამ გაითვალისწინოს და:

ა.) შექმნას სამუშაო აღწერილობის ფორმა, რომელიც, სულ მცირე, მოიცავს ინფორმაციას დასაქმების ადგილის, თანამდებობრივი მდგომარეობის შესახებ, ფუნქცია-მოვალეობების ჩამონათვალს, საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;
ბ.)შექმნას დოკუმენტი, რომელიც განიხილება მტკიცებულებად და დაადასტურებს პერსონალისთვის სამუშაო აღწერილობის, ფუნქცია-მოვალეობების გაცნობას.

რჩევა

.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულება გაეცნო ექსპერტის მიერ იდენტიფიცირებულ შეუსაბამობებს, რეკომენდაციებს, სრულად გაიზიარა თითოეული მათგანი და წარმოადგინა მის მიერ შეუსაბამობების აღმოფხვრის მიზნით დადგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის 12თვიანი გეგმა, რომელიც ხელს შეუწყობს გეგმაში განსაზღვრულ პერიოდში შეუსაბამობების სრულად აღმოფხვრას.
აღნიშნული გეგმით დაგეგმილია შემდეგი აქტივობები:

„1.სამუშაო ფორმის შედგენა და დამტკიცება უფლებამოსილი პირის მიერ, რომელშიც განსაზღვრული იქნება ინფორმაცია დასაქმების ადგილის, თანამდებობრივი მდგომარეობის შესახებ, ფუნქცია-მოვალეობების ჩამონათვალი და საკვალიფიკაციო მოთხოვნები.
2. დოკუმენტის შემუშავება და დამტკიცება, რომლითაც დადასტურებული იქნება პერსონალისათვის სამუშაო აღწერილობის, ფუნქცია–მოვალეობების გაცნობა.
3. შემუშავებული დოკუმენტების გაცნობა პერსონალისთვის და გაცნობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოება.“

ყოველივე ზემოხსენებულის გათვალისწინებით ექსპერტის შეფასება იცვლება.
აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა **მეტწილად არის დაკმაყოფილებული.**
.....
.....

3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ ინდიკატორის დაკმაყოფილების მიზნით წარმოადგინა საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომელიც დადგენილია ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 სექტემბრის N-33 დადგენილებით „ხობის მუნიციპალიტეტში ადრეული აღზრდისა და

განათლების მომსახურების მომწოდებელი ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მომწოდებელი ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების პერსონალის პროფესიული სტანდარტების დამტკიცების შესახებ“ და ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 სექტემბრის N-37 დადგენილებით „ხობის მუნიციპალიტეტში ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების მომწოდებელი ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მომწოდებელი ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების დირექტორის საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“.

პერსონალის პირადი საქმის გაცნობის შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულება ვერ უზრუნველყოფს გამართულ ფუნქციონირებას, რადგან დასაქმებული პერსონალი ვერ აკმაყოფილებს ხობის მუნიციპალიტეტის საკრებუ;ლოს 2017 წლის 29 სექტემბრის N-33 დადგენილებით დანსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. მათ შორისაა აღმზრდელ-მასწავლებლები,აღმზრდელის თანაშემწეები, მუსიკის მაწავლებელი, ფსიქოლოგი, ექთანი, მზარეული.

დაწესებულებას არ ჰყავს აღმზრდელ-პედაგოგი, რომლის არსებობაც არ წარმოადგენს აუცილებლობას, თუმც ინტერვიუს დროს გამოიკვეთა გაერთიანების ადმინისტრაციის წარმომადგენლების დაინტერესება მათ დაქვემდებარებაში მყოფ დაწესებულებებში აღმზრდელ-პედაგოგის საშტატო ერთეულად შექმნასთან დაკავშირებით.

დაწესებულების მთავარი სპეციალისტი არის დაწესებულების ხელმძღვანელი პირი, რომელსაც აქვს უმაღლესი აკადემიური განათლება (ფილოლოგი), თუმც ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 სექტემბრის N-37 დადგენილებით განსაზღვრულია დირექტორის საკვალიფიკაციო მოთხოვნა და არა მთავარი სპეციალისტისა, რაც ვერ გახდება საფუძველი მთავარი სპეციალისტის საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისობის დადგენისა.

აღნიშნულიდან გამომდინარე **ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.**

რეკომენდაცია

ინდიკატორის დაკმაყოფილებისთვის დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს და უზრუნველყოს პერსონალის კვალიფიკაციის შესაბამისობა კანონმდებლობით (ხობის საკრებულოს დადგენილება N-33) დადგენილ მოთხოვნებთან.

რჩევა

სასურველია დაწესებულებამ/გაერთიანებამ გაითვალისწინოს, გამოიყენოს მისი უფლება და დასაბუთებული ინიცირებით მიმართოს ხობის მუნიციპალიტეტის მერიას, რათა უშუამდგომლოს ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წინაშე ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 სექტემბრის N-37 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ, რათა ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერის პროცესში აღმოჩენილმა შეუსაბამობებმა არ დააზარალოს დაწესებულება და მასში დასაქმებული პერსონალი.

ვფიქრობ უმჯობესია დაწესებულებამ/გაერთიანებამ თვითონ წარუდგინოს მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის სამსახურს ის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომელიც რელევანტურია თითოეული დაწესებულებისთვის.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულება გაეცნო ექსპერტის მიერ იდენტიფიცირებულ შეუსაბამობებს, რეკომენდაციებს, სრულად გაიზიარა თითოეული მათგანი და წარმოადგინა მის მიერ შეუსაბამობების აღმოფხვრის მიზნით დადგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის 12თვიანი გეგმა, რომელიც ხელს შეუწყობს გეგმაში განსაზღვრულ პერიოდში შეუსაბამობების სრულად აღმოფხვრას.
აღნიშნული გეგმით დაგეგმილია შემდეგი აქტივობები:

„1. კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისი ადამიანური რესურსის შერჩევა;
2. მთავარი სპეციალისტის საკვალიფიკაციო მოთხოვნების განსაზღვრა და შესაბამის დოკუმენტში ასახვა.“

ყოველივე ზემოხსენებულის გათვალისწინებით ექსპერტის შეფასება იცვლება.
აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა **მეტწილად არის დაკმაყოფილებული.**
.....
.....

4. ბავშვთან მომუშავე საგანმანათლებლო პერსონალს აქვს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის კომპეტენცია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ინდიკატორის დაკმაყოფილების მიზნით დაწესებულებამ დანართის სახით წარმოადგინა გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 27 ივნისის N-200 ბრძანებით დამტკიცებული „პირველადი გადაუდებელი დახმარების გაწევის მარეგულირებელი დოკუმენტი“, რომელიც არის ბრძანების განუყოფელი ნაწილი.

დოკუმენტით გაწერილია პირველადი დახმარების აღმოჩენის მექანიზმი, რომელიც მოიცავს ყველა აუცილებელი სახის დახმარების გაწევას.

დაწესებულების/გაერთიანების საშტატო ნუსხით განსაზღვრულ ბავშვთან მომუშავე საგანმანათლებლო პერსონალს-„აღმზრდელ-მასწავლებლებს“ და მთავარი სპეციალისტს აქვს პირველადი გადაუდებელი დახმარების კომპეტენცია, რაც დასტურდება მათ მიერ წარმოდგენილი სერტიფიკატებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.....
.....

რჩევა

სასურველია დაწესებულებამ გაითვალისწინოს შემდეგი რჩევები:

1. ყოველწლიურად უზრუნველყოს პერსონალისთვის პირველადი გადაუდებელი დახმარების კომპეტენციის ასამაღლებელი სწავლება;
2. პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის კომპეტენციების შეძენაში ჩართოს აღმზრდელის თანაშემწე (შესაბამისი კადრის არსებობის შემთხვევაში).

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....

4.1.2. დაწესებულებაში მოქმედებს პერსონალის მართვის მექანიზმი

1. დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი წესების, მათ შორის, შინაგანაწესის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებელს მტკიცებულებებად დანრთის (8 ფურცელი) სახით წარმოდგენილი აქვს გაერთიანების დირექტორის მიერ 2025 წლის 03 ივლისის N-215 ბრძანებით დამტკიცებული „პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი“ (შემდგომში-„მარეგულირებელი დოკუმენტი“) და გაერთიანების დირექტორის 2023 წლის 07 ივნისს N-167 ბრძანებით დამტკიცებული შრომის შინაგანაწესი, რომელიც წარმოდგენილია დანართის (15 ფურცელი) სახით.

დაწესებულებას ადამიანური რესურსების დაგეგმვის მიზნით შექმნილი აქვს დაწესებულების ორგანოგრამა, ასევე, განსაზღვრული აქვს სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები/მოვალეობები.

დაწესებულების პერსონალის მართვის პროცესებთან დაკავშირებული საკითხები დარეგულირდება როგორც მარეგულირებელი დოკუმენტით, ასევე, გაერთიანების დირექტორის მიერ დამტკიცებული შრომის შინაგანაწესით.
შრომის შინაგანაწესი განსაზღვრავს დასაქმებულის „მივლინების წესი"-ს (მუხლი 9), „შვებულება"-ს (მუხლი 10, „წახალისება და ფულადი ჯილდო"-ს (მუხლი 16).

მარეგულირებელი დოკუმენტით დარეგულირებული საკითხებია: ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა/ციკლი, დაწესებულების სტრუქტურა, სამუშაო აღწერილობა, კადრების მოზიდვა და შერჩევა, დაწესებულების პერსონალის შერჩევა/დანიშვნა, პერსონალის მართვის მექანიზმი, პერსონალის კვალიფიკაცია, ახალი თანამშრომლის ინტეგრაცია, შესრულებული სამუშაოების მართვა, ორგანიზაციიდან გასვლა.

მიუხედავად იმისა, რომ მარეგულირებელი დოკუმენტის მე-7-ე მუხლის თანახმად დაწესებულებას უნდა ჰქონდეს პერსონალისთვის განკუთვნილი „სამუშაო აღწერილობა", დაწესებულებას არ აქვს შექმნილი სამუშაო აღწერილობის დოკუმენტი, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება მარეგულირებელი დოკუმენტით (მუხლი 7, პუნქტი 3) განსაზღვრული ყველა თანამშრომლისთვის.

ამავე მარეგულირებელი დოკუმენტის მე-12-ე მუხლის მეორე პუნქტით განსაზღვრულია იმ პირთა დასაქმების წესი, რომელიც უზრუნველყოფს უსაფრთხოების ნორმების დაცვას და რაიმე სახის მოსალოდნელი საფრთხის თავიდან აცილებას. კერძოდ, „დაწესებულებაში არ შეიძლება დასაქმდეს „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლევი პირი."
დაწესებულების მიერ წარმოდგენილ პერსონალის ვერცერთ პირად საქმეში ვერ მოიძებნა ცნობები ზემოხსენებული დანაშაულების ჩადენის/არჩდენის შესახებ.

დაწესებულებას არ აქვს შემუშავებული პერსონალის შეფასების მექანიზმი. მან ვერ წარმოადგინა პერსონალის განვითარებისთვის საჭირო პროფესიული განვითარების გეგმა, ასევე, მექანიზმი თუ როგორ განახორციელებს დასაქმებული პირის საჭიროებებისა და კმაყოფილების კვლევას.

დაწესებულებას არ აქვს წარმოდგენილი შინაგანაწესის გაცნობის ფაქტის დამადასტურებელი დოკუმენტი.

აღნიშნულიდან გამომდინარე **ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.**

რეკომენდაცია

ინიკატორის დაკმაყოფილებისთვის დაწესებულებამ გაითვალისწინოს შემდეგი:
ა.) პერსონალის მართვის მარეგულირებელ დოკუმენტთან და კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოიყვანოს პესონალის მიმართ არსებული მოთხოვნები, რაც დოკუმენტის სახით აისახება მათ პირად საქმეებში (მაგალითად, ცნობები ნასამართელობისა და სექსუალური ძალადობის შესახებ);
ბ.) დაწესებულებაში არსებული შტატით გათვალისწინებული თითოეული პოზიციისთვის შექმნას სამუშაო აღწერილობა;
გ.) უზურნველყოს პერსონალისთვის მარეგულირებელი დოკუმენტის, შინაგანაწესის, ფუნქცია-მოვალეობებისა და სამუშაო აღწერილობის ამსახველი დოკუმენტების გაცნობა და ამ ფაქტების მტკიცებულებების სახით არსებობის უზრუნველყოფა;
დ.) დაწესებულებამ/გაერთიანებამ პერსონალის განვითარების მიზნით შექმნას დოკუმენტი, რომლის მეშვეობითაც განახორციელებს პერსონალის საჭიროებებისა და კმაყოფილების კვლევას;
ე.)შექმნას პერსონალის პროფესიული განვითარების გეგმა;
ვ.)შეიმუშაოს პერსონალის შეფასების მექანიზმი.

რჩევა

.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულება გაეცნო ექსპერტის მიერ იდენტიფიცირებულ შეუსაბამობებს, რეკომენდაციებს, სრულად გაიზიარა თითოეული მათგანი და წარმოადგინა მის მიერ შეუსაბამობების აღმოფხვრის მიზნით დადგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის 12თვიანი გეგმა, რომელიც ხელს შეუწყობს გეგმაში განსაზღვრულ პერიოდში შეუსაბამობების სრულად აღმოფხვრას.
აღნიშნული გეგმით დაგეგმილია შემდეგი აქტივობები:

„1. სამუშაო აღწერილობის დოკუმენტის შემუშავება და დამტკიცება, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება მარეგულირებელი დოკუმენტით განსაზღვრული ყველა თანამშრომლისთვის.
2. პერსონალისთვის მარეგულირებელი დოკუმენტის, შინაგანაწესის, ფუნქცია-მოვალეობებისა და სამუშაო აღწერილობის ამსახველი დოკუმენტების გაცნობა და გაცნობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოება.

3. პერსონალის მართვის მარეგულირებელ დოკუმენტთან და კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანა პესონალის მიმართ არსებული მოთხოვნების, რაც დოკუმენტის სახით აისახება მათ პირად საქმეებში (მაგალითად, ცნობები ნასამართლობისა და სექსუალური ძალადობის შესახებ);
4. პერსონალის განვითარების მიზნით დოკუმენტი შემუშავება, რომლის მეშვეობითაც განახორციელდება პერსონალის საჭიროებებისა და კმაყოფილების კვლევა;
5. პერსონალის პროფესიული განვითარების გეგმის შემუშავება და დამტკიცება;
6. პერსონალის შეფასების მექანიზმის შემუშავება.“

ყოველივე ზემოხსენებულის გათვალისწინებით ექსპერტის შეფასება იცვლება.
აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა **მეტწილად არის დაკმაყოფილებული.**
.....
.....

2. აღმზრდელ პედაგოგთან/აღმზრდელთან გაფორმებული ხელშეკრულება მოიცავს სამუშაო დროის განმავლობაში ჯგუფთან საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათებს და მათ ფარგლებში განსახორციელებელ საქმიანობებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება/გაერთიანება თანამშრომელთან შრომით ურთიერთობას არეგულირებს შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიც ეფუძნება ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანება“-ს დირექტორის მიერ ხელმოწერილ და იურიდიული ძალის მქონე პერსონალის დანიშვნის აქტს/ბრძანებას. თითოეულ პერსონალთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება, რომელიც მოიცავს საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს შრომის კოდექსი“-თ განსაზღვრულ არსებით პირობებს.

სტატუსის მაძიებელს არ აქვს წარმოდგენილი საშტატო ნუსხით განსაზღვრულ „აღმზრდელ-მასწავლებელთან“ დადებული ხელშეკრულება, რომელიც მოიცავს როგორც საკონტრაქტო, ასევე, არასაკონტაქტო საათებს.
მან შესაბამისობის გეგმაში დააიდენტიფიცირა შეუსაბამობა, რომელიც მიმართულია სტანდარტის 4.1 კომპონენტის შეუსაბამობის აღმოსაფხვრელად, რისთვისაც დაწესებულების მიერ განისაზღვრა 12 თვე.

აღნიშნულიდან გამომდინარე **ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილადაა დაკმაყოფილებული.**

რეკომენდაცია

ინდიკატორის დაკმაყოფილებისთვის დაწესებულებამ გაითვალისწინოს შესაბამისობის გეგმაში სტანდარტის 4.1 კომპონენტისკენ მიმართული და მის მიერ განსასზღვრული აქტივობების განხორციელების ვადა, მკაცრად დაიცვას ის და არაუგვიანეს 12 თვისა შექმნას აღმზრდელთან დასადები ხელშეკრულების ფორმა, სადაც გაწერილი იქნება აღმზრდელ-პედაგოგის/აღმზრდელის საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათები.

რჩევა

სასურველია დაწესებულებამ გაითვალისწინოს შემდეგი რჩევები:

1.) 4.1.1.1-ში მიცემული რჩევის შესაბამისად „აღმზრდელ-მასწავლებელი“-ს ტერმინი შეცვალოს საშტატო ნუსხაში;
2.) აღმზრდელ-პედაგოგთან/აღმზრდელთან დასადებ ხელშეკრულებაში კონკრეტულად განსაზღვროს საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათები. ასე, მაგალითად, აღმზრდელ-პედაგოგის/აღმზრდელის ყოველდღიური სამუშაო დრო განისაზღვრა/განისაზღვრება 8 საათით, რომელთაგან საკონტაქტო საათების რაოდენობა არის 7 საათი, არასაკონტაქტო საათებისა კი 1 საათი;
3.) არასკონტაქტო დროის განსაზღვრისას იხელმძღავანელოს მხოლოდდამხოლოდ დაწესებულების საჭიროებების გათვალისწინებით, რადგან არასაკონტაქტო სამუშაო დროის მონაკვეთს (წუთს, საათს) არ განსაზღვრავს არცერთი ოფიციალური დოკუმენტი.

.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....

3. პერსონალის შერჩევის/დანიშვნის პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებელს განსაზღვრული აქვს ორგანიზაციული სტრუქტურა. მას შემუშავებული აქვს უფლებამოსილი პირის მიერ დამტკიცებული (2025 წლის 03 ივლისის ბრძანება N-215) „პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი“ (შემდგომში-„დოკუმენტი“), სადაც განსაზღვრეულია თანამშრომელთა შერჩევის ეტაპები. დოკუმენტის მერვე მუხლის („კადრების მოზიდვა და შერჩევა“) თანახმად:

1. დაწესებულებაში თანამშრომელთა შერჩევა ხორციელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, შემდეგ პრინციპებზე დაყრდნობით:

1.1. ობიექტურობა – შერჩევის პროცედურები არის არადისკრიმინაციული და მაქსიმალურად გამორიცხავს სუბიექტური გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას;
1.2. გამჭვირვალობა – გამოყენებული პროცედურები, მეთოდები და შეფასების კრიტერიუმები არის ნათლად ფორმულირებული, გასაგები და აღქმადი ყველა დაინტერესებული პირისათვის.

2. პერსონალის შერჩევის პროცესი არის მკაფიო, თანმიმდევრული და გამჭვირვალე პროცედურა, რომელიც უზრუნველყოფს კვალიფიციური და შესაბამისი კადრების მოზიდვას და შერჩევას.
3. დაწესებულება ვაკანტური პოზიციის განაცხადს ქმნის სამუშაო აღწერილობის დოკუმენტზე დაყრდნობით, შესაბამისი საკვალიფიკაციო მოთხოვნების გათვალისწინებით და კანონმდებლობის შესაბამისად უზრუნველყოფს შერჩევის ეტაპების განხორციელებას.

პერსონალის დასაქმება მარეგულირებელი დოკუმენტის მე-10-ე მუხლის საფუძველზე ხორციელდება პირდაპირი დანიშვნის გზით. **გაერთიანების დირექტორის გადაწყვეტილებით,** პირი შესაძლებელია დაინიშნოს ვაკანტურ თანამდებობაზე მერთან შეთანხმებით. პერსონალის შერჩევის დროს დაწესებულება ეყრდნობა ვაკანტური პოზიციის მიმართ დადგენილ სამუშაო აღწერილობას. **ვაკანტური პოზიციის დაკავებამდე, კანდიდატთან ტარდება გასაუბრება.**

„პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი“-ში განსაზღვრულია პერსონალის შერჩევის/დანიშვნის დადგენილი პროცედურების გათვალისწინებით პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვა და დასაქმება, შერჩევის/დანიშვნის პროცეს(ებ)ის ობიექტურობა და გამჭვირვალობა.

აღნიშნულიდან გამომდინარე **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

სასურველია დაწესებულებამ გათვალისწინოს და მომავალში მარეგულირებელ დოკუმენტში შეიტანოს პერსონალის კონკურსის ან ჰიბრიდული გზით დანიშვნის წესიც.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....

4. დაწესებულება უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს ახალი თანამშრომლის ინტეგრაციის დოკუმენტი, რომელიც მისი შეხედულებისამებრ ხელს შეუწყობს ახალ გარემოსთან შეგუებას, ადაპტაციას. თუმც აღნიშნული დოკუმენტი არ არის სრულყოფილი და ის არ განსაზღვრავს ახალი თანამშრომლის ადაპტაციისთვის საჭირო ეტაპებს, რაც განაპირობებდა ახალდასაქმებული პერსონალის დროულად და პროფესიულად საქმის დაუფლების ხელშეწყობას. ასევე, დაწესებულებას დოკუმენტით არ ჰყავს განსაზღვრული პირ(ებ)ი, რომელიც ჩართული იქნება ინტეგრაციის პროცესში და უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლის გარემოსთან ადაპტაციის პროცესს.

ინტერვიუირების შედეგად გამოიკვეთა დაწესებულების მზაობა გუნდურად მხარი დაუჭიროს ახალი თანამშრომლის სამუშაო გარემოსთან ადაპტაციის პროცესს, რათა მან თავი იგრძნოს კოლექტივის სრულფასოვან, ღირებულ წევრად.

აღნიშნულიდან გამომდინარე **ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.**

რეკომენდაცია

ინდიკატორის დაკმაყოფილებისთვის დაწესებულებამ გაითვალისწინოს:
1.შექმნას ახალი თანამშრომლის სამუშაო გარემოსთან ადაპტაციის გეგმა, სადაც განსაზღვარავს ინეტგრაციისთვის საჭირო ეტაპებს;
2. შექმნას ახალი თანამშრომლის შეფასების ფორმა;
3. ადაპტაციის გეგმა და შეფასების ფორმა დამტკიცებულიქნეს უფლებამოსილი პირის მიერ;
4.განსაზღვროს სამუშაო გარემოსთან ადაპტაციის პროცესში ჩართული პირ(ებ)ი.
.....
.....

რჩევა

.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულება გაეცნო ექსპერტის მიერ იდენტიფიცირებულ შეუსაბამობებს, რეკომენდაციებს, სრულად გაიზიარა თითოეული მათგანი და წარმოადგინა მის მიერ შეუსაბამობების აღმოფხვრის მიზნით დადგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის 12თვიანი გეგმა, რომელიც ხელს შეუწყობს გეგმაში განსაზღვრულ პერიოდში შეუსაბამობების სრულად აღმოფხვრას.
აღნიშნული გეგმით დაგეგმილია შემდეგი აქტივობები:

„1. ადაპტაციის გეგმისა და შეფასების ფორმის შემუშავება და დამტკიცება უფლებამოსილი პირის მიერ;
2,სამუშაო გარემოსთან ადაპტაციის პროცესში ჩართული პირ(ებ)ის განსაზღვრა.“

ყოველივე ზემოხსენებულის გათვალისწინებით ექსპერტის შეფასება იცვლება.
აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა **მეტწილად არის დაკმაყოფილებული.**
.....
.....

5. დაწესებულებაში მოქმედი ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება თანამშრომლობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების/გაერთიანების მიერ შემუშავებული ორგანიზაციული კულტურა, რომელიც დეკლარირებულია დაწესებულების ღირებულებებში, ეფუძნება თანამშრომლობის, გუნდურობის პრონციპებს, რაც მკვეთრად გამოვლინდა ინტერვიუირების პროცესში.

დაწესებულების ორგანიზაციული კულტურა ხელს უწყობს თანამშრომელთა ჩართულობისა და ეფექტიანი შრომისუნარიანობის ზრდას.

ვიზიტის პროცესში მკაფიოდ გამოიკვეთა დაწესებულების პერსონალის ერთობით განპირობებული „ჩვენ’ განცდა, საერთო მიზნისკენ გუნდური სწრაფვა, რაც კიდევ უფრო შეუწყობს ხელს ორგანიზაციის ეფექტიანი მუშაობას ზრდას.

აღნიშნლიდან გამომდინარე **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია
.....
.....

რჩევა

.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....

4.1.3. დაწესებულება ზრუნავს პერსონალის უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე

1. დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული განვითარების მიზნით პერსონალის საქმიანობის შეფასებას და საჭიროებათა მოკვლევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანების“ დირექტორის მიერ 2025 წლის 03 ივლისის N-215 ბრძანებით დამტკიცებული „პერსონალის მართვის მარეგულირებელი დაოკუმენტი“ (შემდგომში-„დოკუმენტი“), სადაც მეთოთხმეტე მუხლით გაწერილი აქვს „შესრულებული სამუშაოს შეფასების“ ასპექტები. დოკუმენტის მე-14-ე მუხლში ვკითხულობთ

1. დაწესებულება სისტემატურად აწარმოებს პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასებას და საჭიროებათა მოკვლევას, რაც უზრუნველყოფს ძლიერი და გასაუმჯობესებელი მიმართულებების იდენტიფიცირებას. შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე დაწესებულება გეგმავს და ახორციელებს პერსონალის მიზნობრივი განვითარების პროცესს.
2. დაწესებულების მიერ განხორციელებული შეფასების პროცესის მხარეები არიან შესაფასებელი პირი და დაწესებულების ხელმძღვანელი.
3. შეფასებას ექვემდებარება დაწესებულების ყველა თანამშრომელი.
4. დაწესებულების შეფასების სისტემა შესაძლებელია ითვალისწინებდეს შემდეგი ასპექტების შეფასებას:
   ა) უნარები;
   ბ) დაკისრებული ფუნქციების შესრულების ხარისხი;
   გ) რესურსები და ინსტრუმენტები;
   დ) სამუშაო გარემო ;
   ე) კარიერული განვითარება ;
   ვ) სამუშაოსა და ცხოვრების ბალანსი;
   ზ) აღიარება და მოტივაცია;
   თ) უკუკავშირი და კომუნიკაცია;
   ი) ფსიქიკური და ფიზიკური ჯანმრთელობა.

5. დაწესებულების მიერ, ამ მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული ასპექტების შეფასება, ასევე საჭიროებათა მოკვლევა ხორციელდება შემდეგი მეთოდების გამოყენებით:
   ა) წყვილების შედარების მეთოდი;
   ბ) კითხვარი;
   გ) მართვა მიზნების მიხედვით;
   დ) შეფასება უშუალო ხელმძღვანელის მიერ;
   ე) თვითშეფასება;
   ვ) გასაუბრება;

შეფასების/საჭიროებათა მოკვლევის პროცესის ძირითადი მეთოდებად დაწესებულებას განსაზღვრული აქვს:

ა) დაგეგმვა;
ბ) შეფასების/საჭიროებათა მოკვლევის განხორციელება;
გ) შედეგების ანალიზი.

6. დაწესებულებას შემუშავებული აქვს „ პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი“ (შემდგომში -„წესი“), რომელიც დამტკიცებულია გაერთაიანების დირექტორის მიერ 2025 წლის 03 ივლისის N-215 ბრძანებით. შემუშავებული წესის მე-15-ე მუხლის „შესრულებული სამუშაოს შეფასება“ მეოთხე პუნქტში ვკითხულობთ:
   „დაწესებულების შეფასების სისტემა შესაძლებელია ითვალისწინებდეს შემდეგი ასპექტების შეფასებას:
   ა) უნარები;
   ბ) დაკისრებული ფუნქციების შესრულების ხარისხი;
   გ) რესურსები და ინსტრუმენტები;
   დ) სამუშაო გარემო ;
   ე) კარიერული განვითარება ;
   ვ) სამუშაოსა და ცხოვრების ბალანსი;
   ზ) აღიარება და მოტივაცია;
   თ) უკუკავშირი და კომუნიკაცია;
   ი) ფსიქიკური და ფიზიკური ჯანმრთელობა.“

დაწესებულება შეფასებისთვის გამოიყენებს: წყვილების შედარების მეთოდს, კითხვარს, შეფასებას უშუალო ხელმძღვანელის მიერ, თვითშეფასებას, გასაუბრებას და ა.შ. ის სასწავლო-სააღმზრდელო წლის დაწყებამდე პერსონალს გააცნობს შეფასების კრიტერიუმებსა და ინდიკატორებს.

დაწესებულების მიერ სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის განხორციელებამდე, მიმდინარე ან დასრულებული სამუშაოების იდენტიფიცირებამდე ინდიკატორით გათვალისწინებული მოთხოვნა ვერ იქნება რელევანტური.
დაწესებულება გეგმავს 2025-2026 სასწავლო-სააღმზრდელო წლის დაწყებამდე პერსონალს გააცნოს შესრულებული სამუშაოს შეფასების წესი და კრიტერიუმები/ინდიკატორები.

ინტერვიუირებით დადგინდა, რომ აღნიშნულ შეფასებას და საჭიროებათა კვლევას დაწესებულება განახორციელებს როგორც სასწავლო-სააღმზრდელო პროცესების, ასევე, კვების, ჰიგიენის, უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის საჭირო პროცესების წარმართვის დროს.

აღნიშნლიდან გამომდინარე **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.....
.....

რჩევა

სასურველია დაწესებულებამ გაითვალისწინოს რჩევა შემდგომში საჭიროებათა კვლევის შედეგების გათვალისწინებით პერსონალის პროფესიული განვითარების გეგმის/გეგმების შემუშავებასთან დაკავშირებით.
.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება დაწესებულების მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება სრულად იაზრებს პერსონალის განვითარებაზე ზრუნვის აუცილებლობას, რათა აამაღლოს მათი კომპეტენციები და ხელი შეუწყოს მათ პროფესიულ ზრდას.
დაწესებულება/გაერთიანება პერსონალის შეფასებისა და საჭიროებათა მოკვლევის ანალიზის შემდეგ შეიმუშავებს პერსონალის განვითარების გეგმას. აღნიშნულის შესახებ დაწესებულების/გაერთიანების მხრიდან წარმოდგენილმა პირებმა განაცხადეს ინტერვიუირების პროცესში.

აღნიშნული ინდიკატორი მოცემულ ეტაპზე არ არის რელევანტური, ვინაიდან დაწესებულება ფუნქციონირებას დაიწყებს 2025 წლის სექტემბრიდან. უფლებამოსილ პირთან ინტერვიუირების შედეგად დადგინდა, რომ მხოლოდ სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის მიმდინარეობა მისცემს დაწესებულებას/გაერთიანებას შესაძლებლობას პერსონალის შეფასებისა და საჭიროებათა კვლევის ანალიზის საფუძველზე შექმნას პროფესიული განვითარების გეგმა.

აღნიშნულიდან გამომდინარე **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რჩევა

სასურველია დაწესებულებამ გაითვალისწინოს შემდეგი რჩევები:

1.პროფესიული განვითარების გეგმა უზრუნველყოს შესაბამისი ბიუჯეტით;
2.მოიძიოს დონორის დაფინასება ან გააფორმოს მემორანდუმი, რათა გადაამზადოს პერსონალი უფასოდ ან მინიმალური ფინანსური დანახარჯით;
3.გაითვალისწინოს პერსონალის ინიციატივა სასურველ ტრენინგ(ებ)თან დაკავშირებით;
4.პროფესიული განვითარების ღონისძიების დადეგმვისას გაითვალისწინოს საქართველოს შრომის კოდესის 22-ე მუხლი.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....

3. დაწესებულება ხელს უწყობს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებულ ინიციატივებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას შემუშავებული აქვს „პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი“, რომლის მე-15-ე მუხლის („თანამშრომელთა პროფესიული და კარიერული განვითარება“) თანახმად:

